ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 აგვისტო, 2020 №168 (8432) ფასი: 60 თეთრი

## ტყიბულში ზაურ სოფრომაძე მანქანაში ჩაცხრილეს

გვ.4



# „ოპოზიციას შანსი აქვს, არჩევნებში 60% აიღოს“

გვ.3



პაატა ზაქარეიშვილი: „თუ ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოახერხა ხელისუფლებაში დარჩენა, ის აუცილებლად შეიცვლება ვადამდელი არჩევნებით“

## დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ გასაპანღურებლად გამზადებულია“

გვ.2



„ჯერ ოფიციალურად დაასახელონ სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად და მაგაზე მერე ვილაპარაკებ“

გვ.3



## გოგი წულაია: „სექტემბერ-ოქტომბერში „ოცნების“ რეიტინგი გეომეტრიული პროგრესიით დაეცემა“

გვ.2



## მურმან დუმბაძე: „თუ ივანიშვილი არჩევნებს წააგებს, ამას უნდა შეეგუოს“

## დალუპული პოლიციელების შვილებს სურვილები აუსრულეს





გვ.4

ISSN 1987-9385

2 სალომე ზურაბიშვილი: „კრიმინალი თანამედროვე მსოფლიოს სენია“

6 ტრამპი არჩევნებს წააგებს?!

4 სენაკში მიტროპოლიტ საბას ოჯახი დააყაჩაღეს

6 ემანუელ მაკრონი: „ლიბანელი ხალხის გვერდით ვართ“

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ გასაპანღურებლად გამზადებულია“

## „ჯერ ოფიციალურად დაასახელონ სააკაშვილი პრემიერობის კანდიდატად და მაგაზე მერე ვილაპარაკებ“

იაგო ნაცვლიშვილი

**აგვისტოს ომის 12 წლის თავზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ისევ შიდა მტრებს ეძებს. პრემიერი გახარია აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს აღარ გაიმეორებენ, სამაგიეროდ, მას ასეთი მკაფიო გზავნილები რუსეთის ოკუპაციასთან მიმართებით არ გაუკეთებია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე კი ოკუპაციის თანაავტორებად პუტინსა და სააკაშვილს ასახელებს.**
**რას ნიშნავს ხელისუფლების ეს ნარატივი და რატომ ეძებენ შიდა მტრებს? რა პოზიცია აქვს სააკაშვილის შესაძლო პრემიერობაზე და ამოწურულია თუ არა მისი და „ევროპული საქართველოს“ დისკუსია? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.**



***– აგვისტოს ომიდან 12 წლის თავზე ხელისუფლების წარმომადგენლების უცნაურ განცხადებებს ვხედავთ. „ოცნების“ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მინიმუმამდე შეამცირეს ოკუპაცია. მავთულხლართების გაბმა და ჩვენი მოქალაქეების გატაცება ოკუპაცია არ არის? თუნდაც ის, რომ ახლაც ცხინვალის იზოლატორშია ჩვენი მოქალაქე, რომელიც ჯერ დაჭრეს? ეს მინიმუმამდე შემცირებაა?***

– ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების მორიგი აკვიატება. შეცდომების კასკადია. ეს არის უზნეობაც და პოლიტიკური უმწიფრობაც. სხვანაირად როგორ უნდა შევაფასო ამ ვითარებაში ეს?! ამ წლების განმავლობაში ოკუპაცია მყარდება და იმის ნაცვლად, რომ ჩვენ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი მოვიპოვოთ, მით უმეტეს უკრაინასთან წყვილში ამ საკითხებზე, ხელისუფლების ხაზია, რომ შეამციროს ქართულ-რუსული კონფლიქტის ფაქტორი დასავლეთისთვის. ეს კონტრ-პროდუქტიულია. გასაგებია, რომ თავისი ხელისუფლების მიწურულს არ სურს ივანიშვილს პუტინის გაღიზიანება. პირიქით, მისგან უფრო და უფრო ისმის, თქვენი ვარ, თქვენიო. არაადეკვატურობის გამოვლინებაა ეს ყველაფერი.

***– ხელისუფლების ეს ნარატივი ხელს უწყობს დასავლეთის როლის შემცირებას საქართველოს მიმართ რუსეთთან კონფლიქტის კონტექსტში?***

– კიდევ კარგი, ვერ უწყობს, იმიტომ, რომ დასავლეთი ძალიან მყარად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საქართველოს მხარდაჭერაში. ხელისუფლებები მოდიან და მიდიან.

***– ხელისუფლების მიზანი ეს არის?***

– ხელისუფლების მიზანია, იხელისუფლოს. ამიტომ მისი ხელისუფლობისთვის ხან დასავლეთია უფრო სასარგებლო და ხან არადასავლეთი, ზოგჯერ – ანტიდასავლეთიც. ეს მცდელობა არ არის არც გონივრული და, იმედი მაქვს, არც შედეგიანი.

***– შიდა მტრების ძიება რას ნიშნავს? პრემიერმა აქცენტი გააკეთა შეცდომებზე და თქვა, აღარ გავიმეორებთ წინა ხელისუფლების შეცდომებსო. ომს მაინც წინა ხელისუფლების შეცდომებს უკავშირებენ და არა პუტინის აგრესიას?***

– ხელისუფლება იდიოტია და სათავისოდ ეძებს იდიოტურ არგუმენტებს. ზოგადად 8 წლის წინ 9 წელი ხელისუფლება რომ იყოო, ამაზე რომ ლაპარაკობს საარჩევნო კონტექსტში, ეს არის ინტელექტუალური, პოლიტიკური და ყველანაირი უმწიფრობის გამოვლინება. კობახიძე როცა ამბობს, ორი შემოქმედი ჰყავს ამ ომს, სააკაშვილი და პუტინიო, ესეც ანტისახელმწიფოებრივი მიდგომაა, გარდა იმისა, რომ ტყუილია. ჩვენ ვერ დავესხმებოდით თავს რუსეთს და ჩვენს ტერიტორიაზე ომს ვერ დავიწყებდით. ჩვენ არ დაგვირღვევია რუსეთის საჰაერო, სახმელეთო საზღვარი.

მათთვის ხელისუფლობაა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რომ ასეთი განცხადებებით საქართველოს სახელმწიფო შეიძლება დაზიანდეს. მაგრამ ვერ დაზიანდება სახელმწიფო ინტერესები, რადგან წასასვლელად გამზადებული გასაპანღურებელი ხელისუფლებაა. ამიტომ მათ ტექსტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ აქვს.

***– სააკაშვილიც შიდა მტერს ეძებს ამ პროცესში. მან ჰააგის სასამართლოს კონტექსტში თქვა, რომ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებთან ერთად აგრძელებს ბრძოლას ქვეყნის ინტერესებისთვის, მაგრამ მან ასევე ხელი გაიშვირა ივანიშვილისა და წულუკიანისკენ და თქვა, რომ ყველაფერს აკეთებენ ამ საქმის ფალსიფიცირებისთვის. ეს სწორია?***

– როდესაც საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რუსეთი კი არ არის ოკუპანტი, არამედ თანაბრად და მასზე უარესი საქართველოს იმ დროინდელი ხელისუფლება არისო, ამაზე რეაქცია გასაგებია. საქართველოს ხელისუფლებას არ აწყობს რუსეთის მკაფიო დადანაშაულება ამაში. ტალიავინის დასკვნა ყელზე დაადგა საქართველოს ხელისუფლებას. ის დასკვნა საქართველოს მხარდამჭერი დასკვნაა, რადგან იქ შავით თეთრზე წერია, რომ არავითარი რუსეთის მოქალაქეები იქ არ არსებობდნენ და არავითარი საფუძველი არ ჰქონდა რუსეთს, რომ სამხედრო აგრესია განეხორციელებინა.

***– რატომ ვერ შევთანხმდით საზოგადოება, რომ რუსეთი ოკუპანტია და შიდა მტრების ძიება არ არის სწორი?***

– საზოგადოებას მე რასაც ვეძახი, შეთანხმებულია, საქართველოს ხელისუფლება არ არის საზოგადოება. ეს არის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესების გამომხატველი და ამ მოსახლეობას უყურებს, როგორც დიდ საარჩევნო ურნას. საზოგადოება სხვა რამეა.

***– კითხვაში მარტო ხელისუფლებას არ ვგულისხმობ, ზოგიერთ პოლიტიკოსსაც ვგულისხმობ.***

– მე ხომ ვერ ჩამოვივლი პოლიტიკოსების ცალკეულ შეფასებებს?! როდესაც ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, ასეთ დღეს ის არის მთავარი ადრესატი შესაფასებლად.

***– სააკაშვილის განცხადება შიდა მტრის ძიებად ვერ აღიქვით თქვენ? თუნდაც ეს იყოს „ქართული ოცნება“?***

– რაში გამოიხატა მტრის ძიება? თუ დღევანდელ ხელისუფლებაზე ამბობს, რომ არ იქცევა კარგად, ეს მტრის ძიებაა? მეც ვფიქრობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება იქცევა ცუდად. ივანიშვილსა და მის კამპანიას ბრალს ვდებ, რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ მოქმედებს, მათ შორის აგვისტოს ომის შეფასებასა და რუსეთის მაამებლობაში, ამით მე მტრის ხატს ვეძებ ქართულ შიდა პოლიტიკაში?! მე ასე არ ვფიქრობ.

***– საარჩევნო საკითხებზეც გადავიდეთ. მწვავე დისკუსია გქონდათ „ევროპულ საქართველოსთან“, ამის შემდეგ მათ დაასახელეს კანდიდატები. ამოწურულია ეს გაუგებრობა?***

– მე ძალიან კონსტრუქციული დიალოგი მქონდა და, პრინციპში, ვითარება წავიდა ისე, როგორც ვპროგნოზირებდი 2 თვის წინ – კონსო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „თუ ივანიშვილი არჩევნებს წააგებს, ამას უნდა შეეგუოს“

## მურმან დუმბაძე: „ქართული ოცნების“ ერთი ლიდერი მაინც დამისახელეთ, რომელიც პოლიტიკოსია“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, ცნობილია, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ პრემიერმინისტრობის კანდიდატად მიხეილ სააკაშვილი დაასახელა, რასაც დანარჩენი ოპოზიცია აღფრთოვანებით არ შეხვედრია. არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი რთულად შესათანხმებელი კანდიდატია?***

– ახლა ამ ქვეყანას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შევარდნაძის დროინდელ პერიოდამდე მიიყვანა, სჭირდება კაცი, რომელიც რაღაც რისკებს გასწევს. ასეთი რისკების გამწევი ისევ მიხეილ სააკაშვილი მგონია. ამიტომ მე მიხეილ სააკაშვილი პრემიერად დავასახელე.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს სხდომა იყო, სადაც გადაწყდა, რომ დაასახელონ პრემიერობის კანდიდატი და მეტიც – დაასახელონ ჩრდილოვანი კაბინეტი! ეს არის ცივილიზებული მიდგომა. ეს არის ერთგვარი პასუხისმგებლობაც ამომრჩევლის წინაშე. ევროპაში, ამერიკაში ასეა. პრეზიდენტობის კანდიდატი ასახელებს ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატს. ეს არის ცივილიზებული დამოკიდებულება მოქალაქეების მიმართ. ყველაფრის უკან, კანონის, ბიუჯეტის, აღსრულების უკან კონკრეტული პიროვნებები დგანან. ამიტომ ჩვენ უნდა გავბედოთ და უნდა დავასახელოთ ჩრდილოვანი კაბინეტიც. მე ამის მომხრე ვარ.

***– მხოლოდ სააკაშვილზე იყო საუბარი?***

– მე არაოფიციალური საუბარი მქონდა გრიგოლ ვაშაძესთან. ეს არ იყო საჯარო საუბარი. ამ საუბრისას მან მითხრა, რომ ის ვერ შეძლებს პრემიერობას, თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

***– გრიგოლ ვაშაძეც განიხილებოდა?***

– არა, ნაციონალურ მოძრაობაში, მიხეილ სააკაშვილის გარდა, სხვა კანდიდატი არ არის. მას აქვს ის რეპუტაცია, რომელსაც შეუძლია, ამ ჭაობიდან ამოიყვანოს ქვეყანა. გამძვინვარებული კრიმინალისა და სამოქალაქო ომის წინაშე ვართ, რომლის მაგალითიც არის ახალქალაქი.

***– ნაციონალური მოძრაობა ჩრდილოვან კაბინეტს როდის წარმოადგენს?***

– ეს გამბედაობის საკითხია. რაც უფრო ადრე დაასახელებს, მით უკეთესია. საჯარო, ღია პოლიტიკისკენ ერთ-ერთი ნაბიჯი სწორედ ეს არის, თავიდანვე უნდა იყოს პროცესში მოქალაქე ჩართული და სწორედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

***– რამდენად წარმოგიდგენიათ, რომ სააკაშვილს ოპოზიციურმა სპექტრმა მხარი დაუჭიროს, თუ კოალიციური მმართველობა იქნება?***

– ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: ის, რაც ზნეობრივად მცდარია, პოლიტიკურად მართებული ვერ იქნება. მაგალითად, მინდა, საქართველოს პრეზიდენტი გავხდე, მაგრამ, თუ ხალხი მხარს არ დამიჭერს, როგორ?! თუ დაბალია ჩემი რეიტინგი, გავხდები პრეზიდენტი?! ამიტომ, ოპოზიციიდან ვინც ყველაზე მეტ ხმას აიღებს, სწორედ მან უნდა დაასახელოს პრემიერობის კანდიდატიც! ძალიან მარტივად დგას საკითხი. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დაასახელონ პრემიერობის კანდიდატი და არა კულისებში დასახელდეს და გადაწყდეს. მე ამის მომხრე ვარ.



**„ჩვენ გვჭირდება რისკიანი, გაბედული პოლიტიკოსი, რომელიც კრიმინალს ციხეში შეიყვანს, მექრთამეს დააპატიმრებს“**

ასევე დადასტურებულია, რომ ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია იღებს იმაზე მეტ ხმას, ვიდრე ჯამურად დანარჩენი ოპოზიცია. ეს არის დადასტურებული ფაქტი აქამდე ჩატარებული არჩევნებით. ეს დადასტურებულია სოციოლოგიური კვლევებითაც. როდესაც ნაციონალური მოძრაობა 40%-ს იღებს და „ევროპული საქართველო“ – მხოლოდ 5%-ს, ხომ არ შეიძლება ამ ციფრების შედარება?! ამიტომ „ევროპულმა საქართველომ“ კეთილი ინებოს და მხარი დაუჭიროს არა მიხეილ სააკაშვილს, არამედ საქართველოს მოქალაქეებს. ^

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი შესათანხმებლად პრობლემური კანდიდატია?***

– თუ პრობლემურია, მაშინ როგორ იღებს ყველაზე მეტ ხმას?!

***– შესათანხმებლად, ვგულისხმობ.***

– ე.ი. პრობლემა ჩვენშია და არა სააკაშვილში. ოპოზიცია ერთმანეთთან კი არ უნდა შეთანხმდეს, პირიქით, საქართველოს მოქალაქეებთან უნდა შეთანხმდეს. ეს არის საქმე. მაგალითად, დავასახელეთ „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე, მაგრამ მისი პროცენტული მაჩვენებელი როგორია?! რამდენად იქნება მისი კანდიდატურა ჰარმონიაში საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობასთან?! ახლა ჩვენ გვჭირდება რისკიანი, გაბედული პოლიტიკოსი, რომელიც კრიმინალს ციხეში შეიყვანს, მექრთამეს დააპატიმრებს.

***– ბატონო მურმან, ეს ყველაფერი სასაცილოდ არ ჰყოფნის „ქართულ ოცნებას“. ამბობენ, ოპოზიციამ პრემიერის პოსტი ახლა ვერ გაიყოო.***

– „ქართული ოცნების“ ერთი ლიდერი მაინც დამისახელეთ, რომელიც პოლიტიკოსია. ეს არის ყველაზე სასაცილო და არა ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები. „ოცნების“ დღევანდელი ლიდერები პოლიტიკოსები, იცით, როგორ გახდნენ? მე მოვუგე მიხეილ სააკაშვილს და არჩილ თალაკვაძე გახდა პარლამენტის თავმჯდომარე. იგივე შემიძლია ვთქვა მდინარაძეზე, კობახიძეზე, კალაძეზე, რომელიც სააკაშვილთან იყო. რა უნდა მელაპარაკოს ამ ხალხმა მე?!

ჩვენი ამოცანაა არჩევნების მოგება. თუ არჩევნებს მოიგებს „ოცნება“, მე ხელებს ავწევ, თუ წააგებს, ივანიშვილი ამას უნდა შეეგუოს.

***– შეეგუება?***

– თუ არ შეეგუება, მიიღებს ასლან აბაშიძისა და ედუარდ შევარდნაძის შედეგს. ერთი სახლში გაუშვით, მეორე საერთოდ ქვეყნიდან გაუშვით. არჩევანი ახლა მასზეა, რომელი ურჩევნია? ის უნდა შეეგუოს საქართველოს მოქალაქეების გადაწყვეტილებას.

# სალომე ზურაბიშვილი: „კრიმინალი თანამედროვე მსოფლიოს სენია“



საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოში კრიმინალური მდგომარეობა ისეთი მძიმე არ არის, როგორც ზოგიერთ მედიასაშუალებას უნდა, რომ აჩვენონ.

მისი განმარტებით, საჭიროა დავწყნარდეთ და არ დავუშვათ ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება.

„ვიტყოდი, რომ ჯერ ერთი, მე სხვაგანაც მიცხოვრია და ვიცი, ზუსტად ვიცი, რა არის კრიმინალური მდგომარეობა, რაც, სამწუხაროდ, ყველგან ხდება. ეს არის თანამედროვე მსოფლიოს სენი და არაფერი აქ ისეთი არ ხდება, რაც სხვაგან არ ხდება, დამიჯერეთ, ან იარეთ მსოფლიოში და თვითონ ნახავთ. კრიმინალური მდგომარეობა საქართველოში არ არის ისეთი მძიმე, როგორც ზოგ ტელევიზიას უნდა, რომ აჩვენოს და ის არის ძალიან მძიმე, როდესაც ქვეყანაში ტელევიზიებიდან გვესმის მხოლოდ ეს დილიდან საღამომდე. მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან ცუდად აისახება ჩვენს ახალგაზრდებზე, მათ ფსიქიკაზე. ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა, როდესაც ადამიანებს ვაცხოვრებთ ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში. ყველამ უნდა ავიღოთ ჩვენი პასუხისმგებლობა, ცოტა დავწყნარდეთ, ყველაფერს შევხედოთ ცოტა დისტანციაზე, არ უნდა დავუშვათ კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება, მაგრამ არც მონსტრად უნდა გავხადოთ, რაც ამ ქვეყანაში არ არის“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციას შანსი აქვს, არჩევნებში 60% აიღოს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „თუ ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოახერხა ხელისუფლებაში დარჩენა, ის აუცილებლად შეიცვლება ვადამდელი არჩევნებით“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს არჩევნების მოახლოების ფონზე? რა შანსები აქვს ოპოზიციას? გვესმის შეფასებები, რომ შიდა დაპირისპირებებმა და შეუთანხმებლობამ ოპოზიცია დააზარალა. ასეა?***

— გულახდილად რომ გითხრათ, მე ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები უფრო მიმაჩნია დემოკრატიასთან შესაბამისობაში, ვიდრე პრობლემად. ზოგადად, ოპოზიციის ერთიანობა, ეს არის გამონაკლისი შემთხვევა და ის შემთხვევა, როდესაც ვიღაც გაუსაძლის ძალას ებრძვიან, მაგალითად, დიქტატორს. დღეს საქართველოში ეს სიტუაცია არ არის. დღეს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები უფრო ახლოსაა დემოკრატიასთან, ვიდრე ხელისუფლებაში. ოპოზიცია ცოცხალი ორგანიზმია, ცდილობს, გაერთიანდეს, მაგრამ არ გამოსდის. ის, რაც ხდება ოპოზიციაში, ცუდი არაა. ისინი საჯაროდ, ცხადად მოქმედებენ. კულუარებში არ მოქმედებენ. ჩვენ ღიად ვხედავთ, სად აქვთ მინუსები, სად პლუსები, ვის რა წარმატება აქვს, განსხვავებით ხელისუფლებისგან, რომელიც ყველაფერს ჩუმად აკეთებს. მე არ მომწონს, რაც ხდება, მაგრამ მომწონს, როგორც ხდება. მომწონს ოპოზიციის საჯაროობა, მათ არ რცხვენიათ თავიანთი სიშიშვლის. ჯობდა, შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ, რომ ვერ თანხმდებიან, ამას საჯაროდ ამბობენ და ეს კარგია.

***— რა შანსები აქვს ოპოზიციას 2020-ის არჩევნებში?***

— შანსები საკმაოდ მაღალია. ოპოზიციამ, საერთო ჯამში, სულ მცირე, შესაძლოა, აიღოს 55%, თუ მეტი არა. ეს სერიოზული ფაქტორია, რათა გახდეს ანგარიშგასაწევი ძალა. შესაძლოა, „ქართული ოცნება“ პირველ ტურში გავიდეს, მაგრამ ეს ცალსახად არ იძლევა წარმატებას. სვამენ კითხვას, ვინ გაიმარჯვებს? ვინ გაიმარჯვებს კი არა, ვინ დააკომპლექტებს მთავრობას, აი, ამას აქვს მნიშვნელობა. ვინც მთავრობას აკომპლექტებს, ის არის გამარჯვებული ძალა. შეძლეს „ქართული ოცნება“, მარტო დააკომპლექტოს მთავრობა? ის არის გამარჯვებული ძალა. ვერ შეძლებს „ქართული ოცნება“, დააკომპლექტოს მთავრობა, მაშინ ოპოზიცია გაიმარჯვებს.

***— არჩევნების შემდეგ?***

— დიახ, პარლამენტში შესული ოპოზიცია თუ მოახერხებს გაერთიანებას, რათა მთავრობა თვითონ ჩამოაყალიბონ, ეს უკვე ოპოზიციის გამარჯვება იქნება. დღეს ოპოზიციაში ყველაზე ჯანსაღი პროცესები მიდის, ვიდრე ყოფილა საქართველოში ოდესმე არჩევნების დროს. შანსები იმისა, რომ ოპოზიციამ 60%-ც კი აიღოს, საკმაოდ მაღალია. „ქართულ ოცნებას“ კი ვუტოვებ მაქსიმუმ 40%-ს. შესაძლოა, ამდენიც ვერ აიღონ.

***— კოალიციურ მთავრობას მოიაზრებთ?***

— ცალსახად კოალიციურს. ან „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილს, ან მთლიანად ოპოზიციურს. რადგან ოპოზიციაზე ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ ძალიან უცნაური იყო გია ბარამიძის განცხადება, სრულიად ამოვარდნილი კონტექსტიდან.

***— რას ემსახურებოდა მისი ნათქვამი? არჩევანი ცუდსა და უარეს შორის? ეს ვის წისქვილზე დაასხამს წყალს?***

— სრულიად მიუღებელი განცხადება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი მეგობარია, მე ამას ღიად ვიტყვი. მან დააშანტაჟა ოპოზიცია, როდესაც თქვა, თუ არა სააკაშვილი, მაშინ იქნება ივანიშვილიო. უკაცრავად, გია, შენ რას გვთავაზობ, თუ მიუღებელია ჩემთვის სააკაშვილი, უნდა იყოს ივანიშვილი?! და თუ ივანიშვილი მიუღებელია, სააკაშვილი?! თუ ორივე მიუღებელია?!

***— ამ შემთხვევაში ხომ არ მიდის ამომრჩევლის პოლარიზება, ან მიშა, ან ბიძინა. ეს სწორია?***

— ეს არ არის სწორად დაყენებული საკითხი. არც სააკაშვილი უნდა საზოგადოებას და არც ივანიშვილი. რატომ არ შეიძლება, ვინმე სხვაზე ისაუბრონ? დავდივარ საქართველოში და ვიცი მოსახლეობის განწყობა. ხალხს არ უნდა ივანიშვილი, მაგრამ უფრო მეტად არ უნდა სააკაშვილი. ეს ცალსახად ჩანს და რატომ ვერ ხედავს ამას ნაციონალური მოძრაობა. რატომ არ შეუძლია, მოიძროს როგორც ხორცმეტი, სააკაშვილი და გადავიდეს სულ სხვა დონეზე, სხვა პერსპექტივები შესთავაზოს და თვითონაც შეინარჩუნოს ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი ფუნქცია. ძალიან გასაკვირი იყო მათი მხრიდან ასეთი განცხადება. ბოლო პერიოდში ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე შეცდომა დაუშვა.



***— პირველი რა იყო?***

— პირველი შეცდომა იყო, როდესაც პირველ კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა, როცა კონსტიტუციური ცვლილებები იყო. ევროპულმა საქართველომ მაშინ ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეირგო მაშინ ეს სწორი ნაბიჯი და, პირიქით, დასცინა, თქვენი ხმები არაფერში გვჭირდებოდაო. მიუხედავად ამისა, ნაცმოძრაობა მაინც შეცდა, ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიღმა რომ აღმოჩნდა.

***— რას იტყვით „ქართულ ოცნებაზე“? ამბობენ, რომ მათ აქტიურად დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია და ის სოციალური პაკეტიც, რომელიც პრემიერმა წარადგინა, ამ კამპანიის ნაწილია. ასეა?***

— ცალსახაა. ორი აზრი არ არსებობს, რომ ასეა. ბუნებრივია, 200-ლარიანი დახმარება – ეს არის, ცალსახა და მკაფიო მცდელობა ამომრჩევლის მოსყიდვისა, მაგრამ, მეორე მხრივ, სასამართლოში რომ წახვიდე და გაასაჩივრო, სასამართლო ვერ დაამტკიცებს, რომ ეს არის ამომრჩევლის მოსყიდვა, იმიტომ რომ კორონავირუსი ძალიან დაეხმარა „ქართულ ოცნებას“. მას აქვს მორალური, პოლიტიკური ვალდებულება, მოსახლეობას დაეხმაროს.

***— და ეს ვალდებულება გამოიყენეს წინასაარჩევნოდ?***

— ამიტომ მათ კარგად მოაჩოჩეს ყველაფერი არჩევნებამდე და ახლა დაიწყეს ამ სოციალური პაკეტების გაღება. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურია. ჩემი აზრით, 200-ლარიანი დახმარება ჰაერში გასროლილი ფულია! ეს ოჯახების დაცინვაა. მოსახლეობას არ აქვს იმის ხალისი და საშუალება, რომ ტიკ ტოკში იცეკვონ, იმიტომ რომ მდიდრები არ არიან. ასეთ სიტუაციაში მოსახლეობას როცა აძლევ 200 ლარს, ეს არის დაცინვა. დღევანდელ სიტუაციაში არაფერი არ არის 200 ლარი. ჯობდა, ამ თანხით თუნდაც 10 ბავშვის სიცოცხლე გადაერჩინათ, რომლებიც სიკვდილს ებრძვიან. ეს 200 ლარი დღეს არჩევნებში გასროლილი თანხაა. მე იმედი მაქვს, რომ მოსახლეობა ამას სწორად შეხედავს, ამ თანხას აიღებს, როგორც ვალდებულებას, დაუფასებს ხელისუფლებას, მაგრამ ხმას მისცემს იმას, ვისთვისაც ხმის მიცემას აპირებდა.

***— ანუ არ მოისყიდება?***

— დიახ, არ მოისყიდება და „ქართულ ოცნებას“ წყალში ჩაუვარდება ეს პროექტი, როგორც ამომრჩევლის მოსყიდვა და ხელში შერჩება, როგორც ამომრჩევლის დახმარება კორონავირუსის დროს, თუმცა 200 ლარი არის დაცინვა. „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევს. წინ ზამთარი გველოდება. რამდენ 200-200 ლარს დაარიგებს ხელისუფლება?! თუ ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოახერხა გარკვეული მაქინაციებით ხელისუფლებაში დარჩენა, ის აუცილებლად შეიცვლება ვადამდელი არჩევნებით. მთავარი არჩევნებში გამარჯვება არ არის. მერე რას გააკეთებ, ის არის მთავარი, „ოცნებას“ კი არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია.

# გოგი წულაია: „სექტემბერ-ოქტომბერში „ოცნების“ რეიტინგი გეომეტრიული პროგრესიით დაეცემა“

მარიამ მჭედლიშვილი

**ავგისტოს სიცხის მიუხედავად, პარტიები არჩევნებისათვის ემზადებიან. „ახალი თაობა“ ინტერვიუსათვის გოგი წულაიას იმ დროს დაუკავშირდა, როცა პარტია „თავისუფალი საქართველო“ თბილისში, კიკვიძის ბაღში მაჟორიტარობის კანდიდატს წარადგენდა. პარტიის თანათავმჯდომარე გოგი წულაიას ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ.**

***— ვინ წარადგინეთ მაჟორიტარობის კანდიდატად?***

— ახლა კიკვიძის პარკში ვართ. ნაძალადევში ჩვენი პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატია გია ყრუაშვილი – ძველი რკინიგზელი, უპატიოსნესი კაცი, პოლიტიკოსი ეროვნული მოძრაობიდან.

***— თქვენ თუ აპირებთ მაჟორიტარად კენჭისყრას?***

— ამაზე ზუსტად შემეძლება, მოგვიანებით ვისაუბრო. დაახლოებით ერთ კვირაში გამოვაცხადებ, სად ვიყრი კენჭს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა – ეს დასავლეთ საქართველოს რომელიმე საარჩევნო ოლქი იქნება.



***— ამას წინათ შეაფასეთ ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობისთვის კიტრის, პამიდვრისა და მწვანილის დარიგება და თქვით, რომ ეს ბოლო კიტრპამიდვრობაა „ქართული ოცნებისათვის“. რატომ ფიქრობთ ასე?***

— დიახ. ამ ხელისუფლებისათვის კიტრობა და პამიდვრობა მთავრდება. „ოცნება“ ისეთ რამეებს აკეთებს, რომ აშკარად აგონიაშია.

***— ამომრჩევლის მოსყიდვას, შეიძლება, არააგონიაში მყოფმაც მიმართოს.***

— არა. ესენი სწორედ აგონიაში არიან. მარტო კიტრსა და პამიდორს არ არიგებენ. ხომ ხედავთ, ახალი დახმარებები და სიკეთეები დააანონსეს. კაცმა არ იცის, შესრულდება თუ არა. ხალხი ნორმალურად უნდა აცხოვრო და დახმარებებიც საჭიროა, მაგრამ არა – ასეთი.

***— რას გულისხმობთ?***

– 18 წლამდე ყველა ადამიანი მიიღებს 200 ლარს. ეს რა გამოდის? ბიძინა ივანიშვილის, ასევე სხვა მსხვილი ბიზნესმენების შვილებიც იღებენ ამ ფულს?! ეს რა უბედურებაა? ეს არის დაუმუშავებელი, დაუხვეწავი ინიციატივები. ბევრს ხარჯავენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. სააკაშვილმა თავისი ხელისუფლების ბოლო ხანს ამაზე მეტი ხარჯა. ამან ვერ უშველა. სააკაშვილი თუნუქსაც არიგებდა, სხვა რამესაც. ნახევარ ჭიათურას დააძრო კბილები და მომავალში ჰოლივუდურ ღიმილს შეჰპირდა, მაგრამ ის მოტყუებული კბილებდაძრობილი ადამიანები დღესაც ჩიფჩიფებენ. მათ ფული ახლაც არა აქვთ. ყველა ადამიანი – განათლებული, გაუნათლებელი, მიხვდა ერთ რამეს – ასე ცხოვრების გაგრძელება არ შეიძლება. „ქართული ოცნების“ ხელში ქვეყანას დედა ეტირა.

***— ამას ოპოზიცია დიდი ხანია, ამბობს.***

— საქმე ეგაა, რომ მარტო პოლიტიკოსები არ ხვდებიან ამას. ხალხი, მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავე, ამას აცნობიერებს. ამ ადამიანებმა იციან, რომ თუ ეს ჭაობი გაგრძელდა, ისინი ვერ აიღებენ თავიანთ ხელფასს, 500 ლარია ეს თუ 1000 ლარი. საერთოდ, ხელისუფლება ჰგავს ქათამს – იმ ქათამს, რომელსაც დაკვლისას თავს წააჭრიან. სანამ მოკვდება, ქათამი თავმოჭრილი დარბის.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ დღესაც ანუ საგანგებო მდგომარეობის შემდეგაც ინარჩუნებს საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებულ რეიტინგს.***

— ეს დროებითია. ამას ვერ დავმალავთ, რომ საქართველომ პანდემიის დროს სხვებზე მეტ წარმატებას მიაღწია. სხვა ქვეყნებში უფრო მეტი დაავადებული იყო. ხელისუფლების რეიტინგი მაშინ გაიზარდა. არ ვიცი, რას მივაწერო წარმატება – ჩვენს ჰაერს, გენეტიკას, მენტალიტეტს თუ ამასთან ერთად გატარებულ ზომებს. ეს არ ვიცი. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ ამ თვეებში აწეულ რეიტინგს ვერ შეინარჩუნებს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მშიერი ადამიანი კორონავირუსსა და საქართველოს წარმატებაზე არ იფიქრებს. დამთავრდება ზაფხული, კიტრის, პამიდვრის, მწვანილის დრო. ადამიანებს ამოეწურებათ რესურსები. ისინი უფრო გაღარიბდებიან ყველაფრის გაძვირების ფონზე. აგერ, ბენზინი ნელნელა ძვირდება. ეს უკვე სექტემბერ-ოქტომბერში გამოჩნდება. სექტემბერ-ოქტომბერში გეომეტრიული პროგრესიით დაეცემა ის რეიტინგი, რომელიც ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის დროს არითმეტიკული პროგრესიით გაიზარდა. სააკაშვილი ამათზე მეტს ხარჯავდა, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. არც ამათ გამოუვათ.

# დავით ბერძენიშვილი: „ოცნება“ გასაპანდურებლად გამზადებულია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლიდაცია თბილისში და კონკურენცია რეგიონებში.

***— მათ დატოვეს სათანამშრომლო სივრცე.***

— 80% ირჩევა სიით და ნუ გადავაკვდებით ოლქებს. ნორმალური ვითარებაა და მეორე ტურებში უნდა მივეხმაროთ ერთმანეთს იმ 20%-ის ასარჩევად. იქამდე სიის 80% დაკომპლექტებული იქნება და ეს არის განმსაზღვრელი და გამარჯვების მთავარი მოტივატორი.

***— მთავარი არხის ეთერში თქვით, რომ „ევროპულ საქართველოს“ ზოგიერთი პარტიისთვის ვალი ექნება გადასახდელი. რას გულისხმობდით და რა ვალზე საუბრობდით?***

— მე ვთქვი, რომ „ევროპული საქართველო“ იყო მთავარი მედიატორი თბილისის იმ ორი ოლქის, ნაციონალების მიერ დატოვებული ორი ოლქის დასაკომპლექტებლად. ორი თვე გავიდა და ჯერჯერობით საერთო ოპოზიციური კანდიდატები არ არის შერჩეული. ამას ვგულისხმობდი. პოლიტიკური ვალი დარჩა და რაც გამოვიდა, ის გამოვიდა. თუ კიდევ გამოვა, ერთ ოლქში მაინც მოხდება ოპოზიციის შეთანხმება, ანუ რამდენიმე პარტია შეთანხმდება და ნაცმოძრაობა დაეთანხმება, ეს იქნებოდა უკეთესი. თუ ესეც ვერ შეთანხმდება, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, 6 ოლქი იქნება შეთანხმებული თუ 7 ან 8.

***— მხოლოდ მაჟორიტარების ნაწილში გააკეთეთ ეს განცხადება?***

— ბუნებრივია, ამას ეხებოდა და დავასახელე კიდეც ორი ოლქის საკითხი.

***— დისკუსიაა სააკაშვილის შესაძლო პრემიერობაზე. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?***

— კონკრეტულად როცა გამოცხადდება, რომელი პარტია ვის დააყენებს პრემიერად, მერე ვილაპარაკოთ. მანამდე. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ გიორგი ვაშაძეს უნდა პრემიერობა და დაასახელა თავისი კანდიდატურა. ეს მისი ტაქტიკაა. რამდენად გამართლებული აღმოჩნდება, ვნახავთ. როდესაც რამდენიმე მანდატის რეალური შანსი აქვს მის საარჩევნო სუბიექტს და ამ დროს პრემიერობის კანდიდატობით გამოდის, ვნახავთ, ამას ამომრჩეველი სერიოზულად აღიქვამს თუ ღიმილით მოეკიდება.

სხვა პარტიებს რაც შეეხება, გასაგებია, რომ მათი პირველი ნომრები და ლიდერები იქნებიან მათი წამყვანი ფიგურები მომავალ კოალიციურ ხელისუფლებაში შესათავაზებლად. მე ვფიქრობ, რომ არც ერთი პოლიტიკური სუბიექტი არ იქნება საკმარისი მთლიანად ხელისუფლების დასაკომპლექტებლად. კონკრეტული კანდიდატები თუ გამოჩნდებიან, მერე ვიმსჯელოთ.

***— სააკაშვილის პრემიერობას დაუჭერდით თუ არა მხარს, ამ კითხვაზე ახლა არ მიპასუხებთ?***

— დაასახელონ, თუ ასახელებენ და მაგის მიხედვით ვილაპარაკებ. ბევრი კონტექსტია. გიორგი ვაშაძეს ვახსენებ, რადგან ის ოფიციალურად დასახელებულია. სააკაშვილი ოფიციალურად არ დასახელებულა.

***— სააკაშვილი ოფიციალურად ვერც დასახელდება, რადგან არ არის ამჟამად საქართველოს მოქალაქე და კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.***

— თუ ვერ დასახელდება, მაშინ მე რაზე გავაკეთო კომენტარი.

***— ამ ეტაპზე ეს მოცემულობაა, თორემ, შესაძლოა, შეიცვალოს ვითარება.***

— მოკლედ, იურიდიულად ახლა ვერ დასახელდება და, როდესაც იქნება დასახელებული, მერე ვიმსჯელოთ. პოლიტიკურად რა ვითარება გვექნება... როცა თავად ნაციონალური მოძრაობა გააჟღერებს საკუთარ ოფიციალურ დამოკიდებულებას ამ საკითხზე, ბუნებრივია, ამის შემდეგ მეც და რესპუბლიკური პარტიაც გამოვთქვამთ ჩვენს პოზიციას.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ახალქალაქში ვ.მ.-ს მკვლელობისთვის არტურ გაბრიელიანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვა-ტარებისა და მომხდარი ჯგუფური ძალადობის ფაქტზე, რასაც თან ახლავს სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება.

ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1983 წელს დაბადებული არტურ გაბრიელიანი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ა.გ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1993 წელს დაბადებულ ვ.მ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ვ.მ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.



სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს დანაშაულის ჩადენის იარაღი.

სამართალდამცველებმა ა.გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის III და IV მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობის ფაქტზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძის განცხადებით, ახალქალაქში ვითარება სტაბილურია, ადგილზე პოლიციის მაქსიმალური ძალებია მობილიზებული, რომლებიც შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა დაცულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

– მკვლელობის შემდგომ დაპირისპირება გადაიზარდა ჯგუფურ ძალადობაში, რასაც შედეგად მოჰყვა კერძო საკუთრების დაზიანება.

ამავე საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

ასევე, ტარდება ოპერატიული ღონისძიებები იმ პირების დადგენის მიზნით, ვინც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობდნენ. გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. როგორც ხედავთ, ვითარება სტაბილურია, პოლიციის მაქსიმალური ძალები არის მობილიზებული, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს, რათა დაცულ იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, – განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ ახალქალაქში მედიისთვის მიცემულ კომენტარში.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, მომხდარი დაპირისპირების შედეგად რამდენიმე პირია დაშავებული და ამ მიმართულებითაც გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

# ლერი სულაბერიძეზე თავდასხმისთვის დაკავებულ დავით მურვანიძეს პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლომ ლერი სულაბერიძეზე თავდასხმის საქმეზე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ დავით მურვანიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

როგორც დაკავებულის ადვოკატმა სოსო ხარატიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დაცვის მხარემ გირაოს შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

– მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დავით მურვანიძე. ჩვენ დავაყენეთ გირაო. მისი დაკმაყოფილება არ მოხდა, თუმცა მიმაჩნია, რომ არგუმენტაცია რეალური იყო იმიტომ, რომ საქმის მასალებიდან გამოვდიოდი და ბევრად საფუძვლიანი იყო, ვიდრე დაცვის მხარის, მაგრამ, სამწუხაროდ, გაიზიარა მათი, – აცხადებს ადვოკატი სოსო ხარატიშვილი.

ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე – პრეზიდენტის, ლერი სულაბერიძის ავტომანქანას წყნეთის გზაზე 28 ივლისს, საღამოს ესროლეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს, ასევე 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა– შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ამ დროისთვის ლერი სულაბერიძის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე დაკავებულია ერთი პირი, ირაკლი ღლონტი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

# სენაკში მიტროპოლიტ საბას ოჯახი დააყაჩაღეს

სენაკში 8 აგვისტოს, ღამით, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბას ოჯახი დააყაჩაღეს. „კურიერის“ ინფორმაციით, წაღებულია მობილური ტელეფონები, გაურკვეველი რაოდენობის თანხა და სხვა ნივთები.

სახლში ყაჩაღობის დროს ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ.

შს სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დაიწყო, რაც ბინაში უკანონო შეღწევით ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.



# დაღუპული პოლიციელების შვილებს სურვილები აუსრულეს

აგვისტოს ომის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა. შს მინისტრის გადაწყვეტილებით, დაღუპული თანამშრომლების შვილებსა და ოჯახებს მატერიალური დახმარება გაეწიათ.

ვახტანგ გომელაურის დავალებით, უწყების თანამშრომლებმა პატარებს სურვილები აუსრულეს და ის ნივთები უყიდეს, რომლებზეც ოცნებობდნენ.





მათ შორის არის საზღვაო კაპრალის ზვიად ბარბაქაძის შვილი ლიზი ბარბაქაძე, რომელსაც მინისტრმა ნოუთბუქი და ველოსიპედი აჩუქა. გარდაცვლილი კაპრალის ცოლი სოციალურ ქსელში აქვეყნებს პოსტს, სადაც გომელაურს შვილის გახარებისთვის მადლობას უხდის.

„2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩვენი ოჯახისთვის ყველაზე მძიმე თვე აგვისტოა, მოუშუშებელი ტკივილით სავსე. ამ რთულ პერიოდში მატერიალური მხარდაჭერისა და ყურადღებისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო შს მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს ჩემი შვილისადმი კეთილგანწყობისა და მისი გახარებისთვის, თითოეულ ადამიანს, რომლებსაც ვახსოვართ და მზრუნველობას იჩენენ. მშვიდობიან და ერთიან საქართველოში ეცხოვროთ შვილებს მშობლებთან ერთად“, – წერს მარიკა გვასალია.

# ტყიბულში ზაურ სოფრომაძე მანქანაში ჩაცხრილეს




ტყიბულში 40 წლამდე მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა ღამით მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით მამაკაცი ტყიბულის საავადმყოფოში შეყვანიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

მამაკაცს იმ დროს ესროლეს, როდესაც საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა. მას რამდენიმე ტყვია აქვს მოხვედრილი. მას ქალაქის შესასვლელში ესროლეს.

დაღუპული ზაურ სოფრომაძეა. იგი წარმოშობით თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთიდანაა.

„მთავარის“ ინფორმაციით, სოფრომაძეს მისივე თანასოფლელმა ესროლა, რომელთანაც ადრე კონფლიქტი ჰქონდა.

გარდაცვლილის ცხედარი ქუთაისში ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული.

ხუთი ადამიანია დაკავებული. ცნობილია, რომ ხუთივე პირი სასტიკად ნაცემია. დაკავებულთა ოჯახის წევრები ყვებიან, რომ მათი ოჯახის წევრები გვიან ღამით დააკავეს. პოლიციელები მათ სცემდნენ და აიძულებდნენ, სოფრომაძის მკვლელობა ეღიარებინათ.

ერთ-ერთი დაკავებულის მეუღლე ამბობს, რომ მისი ქმარი მოწმის სტატუსითაა დაკავებული.

შსს-ში ამბობენ, რომ დამნაშავე ჯერ იდენტიფიცირებული არ არის და საქმესთან დაკავშირებით ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

# ჭიათურაში ბენზინგასამართი სადგური გაძარცვეს




ჭიათურაში შეიარაღებული პირები ბენზინგასამართ სადგურზე შეიჭრნენ და ოპერატორს მუქარით თანხა მოსთხოვეს. წაღებულია რამდენიმე ასეული ლარი. ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები.

გამოძიება 178-ე მუხლით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

– თანხა არის წაღებული, მაგრამ, რა რაოდენობით, არაფერი ვიცით. ორი პირი ყოფილა, – განაცხადა ადგილობრივმა.

# ზუგდიდთან მერსედესი თხრილში ჩავარდა

## 2 ადამიანი დაშავდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. დაშავებულია ორი ადამიანი.

მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და თხრილში ჩავარდა. შედეგად მანქანაში მყოფი ორი ახალგაზრდა მამაკაცი დაშავდა.



# 20 წლის გოგონა, რომელსაც სკვერში მანქანა დაეჯახა, მართვით სუნთქვაზეა

8 აგვისტოს თბილისში, ფანასკერტელის ქუჩაზე, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის შედეგადაც დაშავდა 20 წლის გოგონა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მერსედესის მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და სკვერში შევარდა. სწორედ ამ დროს დაშავდა გოგონა.

ის რეგიონულ ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

კლინიკის ცნობით, გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ის მართვით სუნთქვაზე იმყოფება და დამატებითი კვლევები უტარდება.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.



# სარკოზის მემუარები აგვისტოს ომზე

**საფრანგეთში გამოიცა ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მემუარული წიგნი „ქარიშხლების დრო“. წიგნი მოიცავს მისი საპრეზიდენტო ვადის საწყის ეტაპს – 2007-08 წლებს. მასში ფართოდ არის განხილული საერთაშორისო პრობლემატიკა.**

**ავტორი მემუარულ ჟანრში ვრცლად აღწერს საქართველო-რუსეთის ომსა და მოლაპარაკების პროცესში მის პირად მონაწილეობას. სარკოზი მისთვის ტრადიციულ, თვითშექების სტილში იხსენებს კრიზისის პერიპეტიებს და ბევრ დეტალსაც გადმოსცემს.**

**პარიზში ჩემი მუშაობისას, მათ შორის ამ რთულ პერიოდში, პრეზიდენტის მოსაზრებებისა თუ მოქმედებების შესახებ ინფორმაცია პირველივე დღეებიდან თითქმის ლაივრეჟიმში მქონდა სხვადასხვა მაღალი დონის წყაროდან, რაც, შესაბამისად, ქართველ თუ უცხოელ კოლეგებთან რეგულარულად განიხილებოდა. ეს დიპლომატიური ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია, განსაკუთრებით კონფლიქტის დროს. ბევრი ასეთი ინფორმაცია შემდგომში აისახა სხვადასხვა წიგნსა თუ პუბლიკაციაში.**

**მიუხედავად ლოგიკური სუბიექტურობისა და მოგონებითი ლიტერატურის სტილის თავისებურებებისა, მაინც საინტერესოა ავტორის მიერ დანახული რეალობა, თუნდაც აშკარად შელამაზებული და ბევრი ფაქტობრივ/აზრობრივი შეცდომის შემცველი.**

**აგვისტოს ომი მსოფლიოსა და საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენაა და, ამდენად, მოლაპარაკებების მთავარი მონაწილეების ყოველი საჯარო პუბლიკაცია საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ გთავაზობთ სარკოზის წიგნის საქართველოს ნაწილის სრულ, ჩემეულ თარგმანს.**

მამუკა კუდავა

❖ ❖ ❖

## 8 აგვისტო, 2008. პეკინი. ოლიმპიადის გახსნის ცერემონია სტადიონზე

გაფითრებული და მკაცრი სახით მოემართება ჩემკენ ჩემი დიპლომატიური გუნდის უფროსი და, ამავდროულად, „შერპა“ ჟან-დავიდ ლევიტი. „ახლახან შევიტყვე უკიდურესად შემაშფოთებელი ამბავი. რუსეთის არმია საქართველოს საზღვრის გადაკვეთის პროცესშია. როგორც ჩანს, ქვეყნის დაპყრობა უნდათ. ახლა ვამოწმებ ამ მოვლენების სინამდვილეს“.

ვლადიმერ პუტინი ჩემგან ოც მეტრში იყო. მაშინვე გავემართე მისკენ. ვთხოვე, ორმოცდარვა საათი მოეცა ამბის ჩასაწყნარებლად. მკაცრი უარი მითხრა: „Niet, niet, niet“.

აქ ნამდვილად არ იყო ამგვარი დისკუსიისთვის შესაფერისი ადგილი. თან არ მინდოდა საჯარო სკანდალი. ნამდვილად ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი შეიძლება ცუდად დასრულებულიყო. ბოლოს ტრიბუნაზე ჩემს ადგილს დავუბრუნდი და აღვფრთოვანდი გახსნის ცერემონიის საოცარი სილამაზით. პეკინში იმ დილით ჩამოვედი და ცერემონიის დასრულებისთანავე უკან უნდა გავფრენილიყავი. ლუი მახლდა თან, ჩემი 11 წლის შვილი. დიდი სიჩქარით გადავკვეთეთ ღამის პეკინი. პრეზიდენტის თვითმფრინავში შევედით თუ არა, დაღლილობისგან მოვიცელეთ. რამდენიმე წუთით ჩემს თანმხლებ გუნდს გავესაუბრე.

„სამწუხაროდ, ფაქტები დასტურდება“, – იყო ჟან-დავიდ ლევიტის პირველი კომენტარი. ამ შუაღამეს არაფრის გაკეთებას ან მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ჩემი თვითმფრინავი ტულონში უნდა დაშვებულიყო, რომ 15 აგვისტოს უქმეები კაპ ნეგრზე გამეტარებინა, სადაც უკვე კარლა მელოდებოდა.

ზუსტად დილის საუზმისთვის მივედი. ჯადოსნური დილა იყო, მზე უკვე კარგად აცხუნებდა. ჩემი ცოლი მელოდებოდა. ზღვა ფარფლებით დაფარულ ტბას ჰგავდა, რომელზეც თვალისმომჭრელი სინათლე ბრწყინავდა. თვითმფრინავში გატარებული გრძელი ღამის შემდეგ დაღლილობა გამიქრა. ყოველდღიურ ჯოგინგზე გავემართე.

დაბრუნებულს მითხრეს, რომ პარიზში ჩასულმა ჟან-დავიდ ლევიტმა ორჯერ ცადა ჩემთან დაკავშირება. გადავურეკე უსაფრთხო კავშირით, რომელიც უკვე დააყენეს აქ. ცუდი ამბები იყო, რუსეთის არმია უკვე საქართველოს ტერიტორიაზე იყო და უარესიც, დედაქალაქ თბილისისკენ მიემართებოდა. მსოფლიო შოკში იყო.

გადავწყვიტე, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევისთვის დამერეკა. ამ პირველმა გადაწყვეტილებამ დიპლომატების ცხარე კამათი გამოიწვია. იყვნენ ისეთები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ იმ დროს ნამდვილი და ერთადერთი პატრონისთვის, ვლადიმერ პუტინისთვის უნდა დამერეკა და ისეთები, რომლებიც პროტოკოლური წესების პატივისცემისკენ, პრეზიდენტის პრეზიდენტთან საუბრისკენ იხრებოდნენ. მე ამ მეორე შეთავაზების სასარგებლოდ მივიღე გადაწყვეტილება, რადგან ვფიქრობდი, რომ სხვაგვარი ქმედებით პრეზიდენტ მედვედევს დავამცირებდი, რასაც ნამდვილად არ იმსახურებდა. და ისიც მესმოდა, რომ კრიზისის სიმწვავის გათვალისწინებით, თუ პუტინს მოუნდებოდა ჩარევა, უკან ნამდვილად არ დაიხევდა. ასე რომ, მხოლოდ მომგებიანი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე, მედვედევით დაგვეწყო.

ყოველგვარი სირთულის გარეშე დავუკავშირდი. სიტუაცია მიუღებელი იყო, მაგრამ უნდა მქონოდა გულწრფელობა, მეღიარებინა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მანამდე ყველაფერი გააკეთა მოვლენების დასაძაბად.

სწორედ ამის გამო მოგვიწია ელისეს სასახლეში ამ ქვეყნის ელჩის დაბარება, რათა გაგვეფრთხილებინა, რომ ევროპა, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, სამხედრო გზით არ ჩაერეოდა რუსეთის პასუხის შემთხვევაში. ბერნარ კუშნერმა დაურეკა თავის ქართველ კოლეგას, რომ იგივე გზავნილი გადაეცა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი ქართული რეგიონი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, საქართველოსთვის დაახლოებით იმავეს წარმოადგენდა, რასაც ალზასი და ლოტარინგია საფრანგეთისთვის. ამას იმისთვის ვამბობ, რომ ხაზი გავუსვა, თუ რამდენად მგრძნობიარე თემასთან გვქონდა საქმე. სააკაშვილს თანამოქალაქეების ეროვნულ გრძნობებზე მოქმედება სურდა, სამაგიეროდ კი მხოლოდ რუსული დათვის გაღვიძება მოახერხა. მისი ბუნაგში დაბრუნება სასიამოვნო საქმე არ იქნებოდა.

სანამ მედვედევს დავურეკავდი, სამპუნქტიანი გეგმა შევიმუშავე, რომლის მიზანი იყო ერთგვარ სტატუსკვო ანტეზე დაბრუნება. მან ჩვეული გულახდილობით ჩაინიშნა ჩემი წინადადებები, მაგრამ არაფერს დამპირებია. ამავე დროს, რუსული ძალები აგრძელებენ წინსვლას ქართულ ტერიტორიაზე. 11 აგვისტოს მხოლოდ 25 კილომეტრში იყვნენ თბილისიდან. მე უარესი სცენარისთვის ვიყავი მზად, რაც ნიშნავდა იმას, რომ რუსები დაიპყრობდნენ დედაქალაქს, ჩამოაგდებდნენ სააკაშვილს და იქ დასვამდნენ პრორუსულ ხელისუფლებას.

ჯორჯ ბუშმა დამირეკა და მითხრა, რომ ფრანგულ გეგმას მხარს უჭერდა, მაგრამ იქვე მოითხოვდა, რომ რუსები „დასჯილიყვნენ“ (საბედნიეროდ) სამხედრო შეტევის გარეშე. ორცეცხლშუა ვიყავი. რუსებს მე ქართველების მხარეს ვეგონე, ამერიკელებსა და ევროპის ნაწილს კი ზედმეტად შემრიგებლად მივაჩნდი. თუ საქმეს ოპტიმისტურად შევხედავდით, ეს, შეიძლებოდა, იმასაც ნიშნავდა, რომ მე „გაწონასწორებული“ პოზიცია მეჭირა.



კიდევ ორჯერ ვესაუბრე დიმიტრი მედვედევს. ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ შორს არ იყო იმის დაჯერებისგან, რასაც დაუღალავად ვუხსნიდი, რომ ეს ყველაფერი ძალიან შორს წავიდოდა და შედეგად რუსეთის რეპუტაცია მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგებოდა. ის მე ამას არ მეტყოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უფრო და უფრო ნაკლებად იყო გაჯიუტებული ოფიციალურ პოზიციაზე. ვიცოდი, რომ ის არ იყო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები, მაგრამ პუტინის ნდობით სარგებლობდა. გადავწყვიტე, ამ ყოყმანის პერიოდით მესარგებლა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნდა, რომ კიდევ ერთხელ უნდა მეცადა ბოლომდე. ჩემს თანამოსაუბრეს შევთავაზე, მოსკოვში ჩავსულიყავი რეალური მოლაპარაკებისთვის. ერთადერთი, მაგრამ უდიდესი პირობა წამოვაყენე, შეეჩერებინა რუსის ჯარების წინსვლა. უფრო ზუსტად, ეს ვუთხარი:

„ჩამოვალ მოსკოვში, მაგრამ, როცა ჩემი თვითმფრინავის ბორბლები დასაფრენ ბილიკს შეეხება, ველოდები თქვენს ტელეგრამას რუსეთის ჯარების შეჩერების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გადმოვალ თვითმფრინავიდან და მაშინვე უკან გავემგზავრები“.

მე მჭირდებოდა ეს გარანტია, რადგან ჩემი გუნდის დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ჩემი მოსკოვში ვიზიტი ხაფანგი იყო, რაც რუსებს დროის მოგების საშუალებას მისცემდა, რომ დაესრულებინათ თავიანთი სამუშაო. მიუხედავად ყველაფრისა, ვარჩიე გამერისკა და ნდობა გამომეცხადებინა მედვედევისთვის. ასე რომ, პეკინიდან დაბრუნებულები სამ დღეში მოსკოვში წავედით.

გადამცემების სპეციალისტმა, რომელიც თან მახლდა საპრეზიდენტო თვითმფრინავში, დაფრენამდე ათი წუთით ადრე გადმომცა კომუნიკე, რომლითაც რუსეთის ტანკებს უბრძანეს, შეეჩერებინათ წინსვლა. ცოტა ამოვისუნთქე. როგორც იქნა, კარგი ამბავი. ამასთან, მათი შეჩერება კარგი იყო, მაგრამ არა – საკმარისი. ახლა უკან უნდა დაეხიათ!

მყვირალა სირენების ხმაურით გადავჭერით მოსკოვი და მივედით კრემლში. მისვლისას გამაოგნა კამერების, მიკროფონებისა და ჟურნალისტების შთამბეჭდავმა რაოდენობამ. დაძაბულობა ხელშესახები იყო. ვგრძნობდით სიტუაციის სიმძაფრეს. არავინ იღიმოდა და სიტყვასაც არავინ ძრავდა ჩემს მცირე დელეგაციაში. ძალიან დაძაბული ვიყავით. შინაგანად ჩემს თავს ვეკითხებოდი: ხომ გავაკეთე კარგი არჩევანი? ამასთანავე, ახლა კითხვების დასმა



გვიან იყო. ბოლომდე უნდა გვებრძოლა და ვიცოდი, რომ არავინ იყო მზად სახის დასაკარგად.

პრეზიდენტი მედვედევი და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გველოდნენ. მისვლისთანავე ცალკე გამიყვანა მედვედევმა:

„წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ ვლადიმერ პუტინი შემოგვიერთდეს სადილად?“

ვუპასუხე: „რას ბრძანებ, პირიქით, ბედნიერი ვიქნები მისი ნახვით“.

მისი გაუთვალისწინებელი დასწრება ცხადყოფდა, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსები ამ საქმეს. ვფიქრობდი, რომ ეს ამოცანას გააადვილებდა, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, რომ რუსი გენერლები მედვედევს დაემორჩილებოდნენ, ხოლო პუტინს – კი. მცირედი ეჭვიც კი არ არსებობდა.

ამასობაში მოვიდა ვლადიმერ პუტინი, ლოყა ოდნავ შესიებული ჰქონდა. შემოსვლისთანავე მომესალმა და მითხრა: „კბილის ექიმისგან მოვდივარ, კბილი მტკივა და ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ“. გავიფიქრე, რომ უკეთესი დასაწყისიც მქონდა ნანახი. დავსხედით პატარა მაგიდის ირგვლივ. ორი რუსი მმართველი, ჟან-დავიდ ლევიტი და მე. ამ დროს მოპირდაპირე ოთახში მეორე სადილი მიმდინარეობდა – მინისტრი სერგეი ლავროვი და მედვედევის შერპა, სერგეი პრიხოდკო, ბერნარ კუშნერი და ჩემი მრჩეველი დამიენ ლორასი.

სადილი მაქსიმალურად ცუდად დაიწყო. პუტინი საუბრობდა. განრისხებული იყო. სიტყვა ხელში ჩაიგდო და მონოპოლიზებული ჰქონდა მთელი თხუთმეტი წუთი. ეს იყო ძალადობრივი ბრალდებები სააკაშვილის, მისი მეთოდების, მისი პოლიტიკის, მისი პერსონის წინააღმდეგ. წყობიდან იყო გამოსული და პირჯვარსაც კი იწერდა, როცა საქართველოს პრეზიდენტის გვარს ახსენებდა. ეს მართლაც შთამბეჭდავი იყო. ბოლოს ისიც კი მითხრა, არ შეიძლება, ის დარჩეს იმ დანაშაულების გამო, რომლებიც ჩაიდინაო.

სიმშვიდე ჩემი ძლიერი მხარე არ არის. სიბრაზე მაწვებოდა. ამ ტირადის დროს დიმიტრი მედვედევს ხმა არ ამოუღია. ძლივს შევაჩერე ჩემი თანამოსაუბრე და ფაქტობრივად ავფეთქდი:

„დღეს 11 აგვისტოა. მე კაპ ნეგრიდან იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ ავიტანო შენი გინება და მუქარა გაეროს წევრი ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით. ჩამოვედი საუკეთესო განზრახვით, რომ დაგეხმაროთ, გამოხვიდეთ ამ სიტუაციიდან, სადაც მხოლოდ წაგებულები იქნებიან და შენ, პირველ რიგში. შენ არაფრის გაგება არ გინდა. საკმარისი ვითმინე, მე მივდივარ“.

და გაცხარებული წამოვდექი, ჩავიცვი პიჯაკი, რომელიც მაგიდასთან დაჯდომამდე გავიხადე და გავემართე კარისკენ. შეწუხებულმა პუტინმა მომაძახა:

„კი მაგრამ, სად მიდიხარ?“

„აღარაფერი მესაქმება აქ. ერთ სიტყვას არ მათქმევინებ. შენ არაფრის გაგონება არ გინდა. გავალ და ვაცნობებ პრესას, რომ დავმარცხდი“.

პუტინი წამოდგა და ამჯერად უფრო მეგობრულად მთხოვა, დავრჩენილიყავი და გაგვეგრძელებინა საუბარი, რომელიც მივანიშნე, რომ ჩემს თვალში არც დაწყებულა! დავბრუნდი მაგიდასთან. დავმშვიდდი, რომ ეს შევძელი.

პუტინმა გააგრძელა:

„ერთი შეკითხვა მაქვს შენთან. როცა შენი მეგობარი ბუში სადამ ჰუსეინს ჩამოახრჩობს, შენ არ აპროტესტებ. როცა მე გეუბნები, რომ სააკაშვილი უნდა გავაგდოთ, წასვლა გინდა. რატომ გაქვს ასეთი განსხვავებული მიდგომა?“

ვუპასუხე:

„განა შენი ცხოვრების ოცნება ისაა, რომ ბუშივით დაამთავრო, რომელიც პლანეტის ორ მესამედს სძულს? არ მეგონა, რომ ეს იყო შენი მოდელი!“

პუტინმა გადაიხარხარა და კმაყოფილმა მიპასუხა:

„აქ ნამდვილად ერთით ნულს მიგებ“.

ბოლოს შევძელით და დავიწყეთ მშვიდად განხილვა. კბილის ტკივილმა გაუარა, ყოველ შემთხვევაში, ჩანდა, რომ აღარ აწუხებდა. კვლავ აღმოვაჩინე მშვიდი და გონივრული მოსაუბრე, რომელიც აქამდე მომწონდა. ჩემი მხრივ, ხანგრძლივად ვუხსნიდი, როგორ შეძლო მან, მშვიდობიანად და ძალადობის გარეშე ფეხზე დაეყენებინა თავისი ქვეყანა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო და რა ზიანს მოუტანდა რუსეთსაც და პირადად მასაც მთელი ამ ისტორიის შედეგი.

არც კი მესმოდა, სად იყო აქ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, დიპლომატიური გამოწვევა. საითაც არ უნდა გამეხედა, მხოლოდ კატასტროფის აკუმულაციას ვხედავდი. რა პრესტიჟი უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის ოთხმილიონიანი ქვეყნის დამარცხება? უნდა გვეცადა, თავაწეული გამოვსულიყავით ამ სიგიჟიდან, რის გარეშეც ის დაასრულებდა, როგორც საძულველი დიქტატორი!

ოთხი საათი ვისაუბრეთ ისე, რომ ტონი არ აგვიწევია, მაგრამ მაინც ვერ მივაღწიე კრიზისიდან გამოსვლის წარმოსადგენ შეთანხმებას.

სერიოზულად დავიღალე. ჩემს ორ თანამოსაუბრეს ვთხოვე სეანსის შეჩერება, რათა საშუალება მოგვცემოდა, წარმოგვედგინა სამშვიდობო გეგმა. განვმარტოვდი ჩემს გუნდთან ერთად და თავად დავწერე ექვსპუნქტიანი სამოქმედო სამშვიდობო გეგმა, რომელიც განსახილველად რუსებს გადავეცი.

მთავარი იყო რუსების სამხედრო ძალების საქართველოდან გამოყვანა ისე, რომ მათ საშუალება ეძლეოდათ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დარჩენილიყვნენ. ამგვარად, საქართველოს ტერიტორიის 90% თავისუფლდებოდა. ეს იდეალური არ იყო, მაგრამ უდავოდ უკეთესი იყო, ვიდრე სრული ოკუპაცია.

პუტინი დათანხმდა, როცა ვუთხარი, რომ ჩემი იდეა იყო, მომავალში გამართულიყო მოლაპარაკებები ჟენევაში ქართველებსა და რუსებს შორის, რათა შეთანხმებულიყვნენ ორი პატარა რეგიონის საბოლოო სტატუსის შესახებ. ვიცოდი, რომ ეს დიდ დროს მოითხოვდა და ჩვენც დროს გვაძლევდა კრიზისის პიკის დასაძლევად. რუსები ხვდებოდნენ, რომ ექნებოდათ შეთანხმებული უფლება, დარჩენილიყვნენ ამ ორ ტერიტორიაზე, მაგრამ უნდა დაეტოვებინათ ყველა დანარჩენი.

ამის შემდეგ შევძელი, პრესკონფერენცია გამემართა მედვედევთან ერთად, სადაც წარმოვადგინე საფრანგეთის მიერ შეთავაზებული და გარანტირებული გეგმა. ეს უდავო წინსვლა იყო. უარესი თავიდან იყო აცილებული.

❖ ❖ ❖

ახლა რჩებოდა ქართველების დარწმუნება. კვლავ ჩავსხედით თვითმფრინავში, ამჯერად თბილისის მიმართულებით, სადაც ჩავფრინდით დაახლოებით 22 საათზე.

ბნელი ღამე იყო. ქვეყანა ომში იყო, ჩვენი ჩაფრენის ადგილიდან 25 კილომეტრში საოკუპაციო ჯარების ტანკები იყო განლაგებული. ატმოსფერო მწუხარე იყო აეროპორტსა და პრეზიდენტის სასახლეს შორის, სადაც სააკაშვილი გველოდებოდა.

პირველად გადავკვეთე ფრონტის ხაზთან ასე ახლოს მდებარე ქალაქი. სიცოცხლის ნატამალი არ ჩანდა. სინათლეები ჩამქრალი იყო. ხალხი თავს იმშვიდებდა, როგორც შეეძლო. ირგვლივ ყველგან მზაკვრული შიში სუფევდა. გამონაკლისს დედაქალაქის ერთი ადგილი წარმოადგენდა – პარლამენტი, სადაც ასევე იყო განთავსებული პრეზიდენტის სასახლე. ვგრძნობდი დიდ მღელვარებას, თითქმის ისტერიას.

დედაქალაქის ამაღლებულ ადგილას განთავსებული მკვეთრად განათებული შენობა საოცარ კონტრასტს ქმნიდა დანარჩენ სრულიად ჩაბნელებულ ქალაქს შორის. საქართველოს ხელისუფლებამ მოუწოდა თავის ყველაზე მტკიცე მხარდამჭერს, შეკრებილიყვნენ ხელისუფლების საბოლოო ადგილის გარშემო, რათა დაეცვათ იგი და მიეღოთ საბოლოო მითითებები. სადაც არ გავიხედავდი, აღელვებას, ნერვიულობასა და მოუსვენრობას ვაწყდებოდი.

პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტში შესულს მომესალმნენ, გულწრფელად და უხვად გამოხატეს მადლიერება. აქ ასევე იყვნენ ლიტვის, პოლონეთისა და უკრაინის პრეზიდენტები, რომლებმაც მხარდაჭერა ფიზიკური დასწრებით გამოხატეს. მაშინვე პრეზიდენტის ოთახის კუთხეში ორი კაცი შევნიშნე, ჩანდა, რომ არ იყვნენ ქართველები და მოშორებით იდგნენ. ვიკითხე, რას აკეთებდნენ აქ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ემანუელ მაკრონი: „ლიბანელი ხალხის გვერდით ვართ“

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ვიდეოკონფერენცია გახსნა, რომელიც ლიბანის დახმარების დონორებს აერთიანებს. პრესკონფერენცია 4 აგვისტოს ბეირუთის პორტში აფეთქებას უკავშირდება.

კონფერენციის მონაწილეების წინაშე გამოსვლისას, რომელშიც მსოფლიო ლიდერები და საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობენ, მაკრონმა მოსახლეობის დახმარების აუცილებლობას გაუსვა ხაზი და იმ ქვეყნების წვლილზე ისაუბრა, რომლებმაც ლიბანს დახმარება გაუწიეს.

– ამ კონფერენციის მიზანია სახსრების მობილიზება, რათა მოსახლეობის საჭიროებებს კონკრეტული პასუხი გაეცეს. ჩვენ ამ ძლიერ მიმართვას ვუგზავნით ლიბანელ ხალხს იმის საჩვენებლად, რომ მათ გვერდით ვართ ტრაგედიის ჟამს, – განაცხადა საფრანგეთის ლიდერმა.

# ტრამპი არჩევნებს წააგებს?!



პროფესორი ალან ლიჰტმანი ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგია. მისი პროგნოზები, მათ შორის ყველაზე ექსტრავაგანტური, ხშირად მართლდება. 2016 წელს ლიჰტმანმა საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. იმხანად ბევრს ამაში ეჭვი ეპარებოდა. მიუხედავად ამისა, ტრამპმა არჩევნებში გაიმარჯვა.

ამჯერად ლიჰტმანი არჩევნებში დონალდ ტრამპის დამარცხებას პროგნოზირებს. მისი აზრით, თეთრი სახლის ახალი პატრონი ჯო ბაიდენი გახდება.

– ტრამპი ყველა მიმართულებით დამარცხდა, როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე საგარეოში, – აცხადებს ლიჰტმანი.

თანახმად უკანასკნელი გამოკითხვებისა, ბაიდენის რეიტინგი უკვე 60%-ია, ტრამპისა – 39%.

# პუტინი დონბასს არასოდეს შეიერთებს

ისრაელის ნატივის ექსშეფმა, ამჟამად კი პუტინის ფანმა იაკობ კედმიმ განაცხადა, რომ რუსეთი არც დონბასის, არც უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ანექსიაზე არასოდეს წავა.

– პუტინი დონბასს არასოდეს შეიერთებს, – თქვა კედმიმ.

ნატივის ექსშეფის აზრით, პუტინს მხოლოდ ის სჭირდება, რომ უკრაინა ნეიტრალური ფედერაციული სახელმწიფო იყოს და რუსეთს პრობლემებს არ უქმნიდეს, არ მიისწრაფოდეს ნატოსკენ, არ ერეოდეს ანტირუსულ ინტრიგებში და ა.შ. უკრაინის ფედერალიზაციისაკენ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი კი დონბასის ავტონომია (განსაკუთრებული სტატუსი) იქნება.

– დონბასი უკრაინის ფედერალიზაციის კატალიზატორი უნდა გახდეს! – აცხადებს კედმი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# გამყიდველის შეცდომამ მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, როდესაც გამყიდველმა მას შეცდომით სხვა ბილეთი მიჰყიდა.

მამაკაცმა ავტოგასამართ სადგურზე შეიარა და მომენტალური ლატარიის 10-დოლარიანი ბილეთის ყიდვა მოინდომა.

– გამყიდველმა შეცდომით 20-დოლარიანი ბილეთი მომცა. მან შეცვლა შემომთავაზა, მაგრამ შინაგანმა გრძნობამ მიკარნახა, რომ ეს ბილეთი უნდა ამეღო და გახარებული ვარ, რომ ასეც მოვიქეცი! ამ შეცდომამ სიმდიდრე მომიტანა, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცის მიერ გამყიდველის შეცდომის წყალობით შეძენილმა ბილეთმა მას ორი მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

უსაფრთხოების ნორმების დაცვიდან გამომდინარე, 57 წლის ამერიკელის ვინაობა გასაიდუმლოებულია. მან გადაწყვიტა, მთლიანი თანხის თანდათანობით მიღებაზე უარი ეთქვა და ფული ერთიანად მიეღო, ამის გამო გადასახადების დაფარვის შემდეგ მან 1,3 მილიონი დოლარი მიიღო.

# მამაკაცი ხუთი წელი ბანდიტებს ტყეში ემალებოდა



დიდი ბრიტანეთი მცხოვრები მამაკაცი 2015 წელს გაუჩინარდა და მას მოკლულად თვლიდნენ, თუმცა ახლახან ის ფესბუქში გამოქვეყნებული სელფის წყალობით ცოცხალი იპოვეს.

წარმოშობით ლიეტუველი 35 წლის რიკარდას პუისისი უკანასკნელად კემბრიჯშირის საგრაფოში 2015 წლის ნოემბერში ნახეს. მისი გაუჩინარების შემდეგ პოლიციელებმა მისი მკვლელობის საქმის გამოძიება დაიწყეს და გაარკვიეს, რომ მამაკაცი დამნაშავეთა ბანდასთან იყო დაპირისპირებული, რომელიც მას ექსპლუატაციას უწევდა. პოლიციას არ დაუზუსტებია, კერძოდ, რომელ დანაშაულებებზე იყო საუბარი.

თუმცა მკვლელობის თეორია გაქარწყლდა, როდესაც გამომძიებლებმა პუისისის სელფი აღმოაჩინეს, რომელიც მან ფეისბუქში საიდუმლო გვერდზე გამოაქვეყნა. გვერდს 69 ხელმომწერი ჰყავდა, რომელთა დიდი უმრავლესობა ლიეტუველის ნათესავი იყო.

პოლიციელებმა მამაკაცის ძებნის სამუშაოები ჩაატარეს და დაკარგულს მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ ის ამ დროის მანძილზე კემბრიჯშირის საგრაფოს ქალაქ უისბეკის მახლობლად ტყეში ცხოვრობდა.

– ჩვენი ვარაუდით, რიკარდასმა მიმალვის გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ის დანაშაულის მსხვერპლი იყო და ბანდიტები მას ექსპლოატაციას უწევდნენ. ის შეგნებულად იმალებოდა და არავის ელაპარაკებოდა, – განაცხადა უფროსმა დეტექტივმა რობ ჰოლმა.

– ამჟამად ის უსაფრთხოდაა და ჩვენ მასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. ის აუცილებელ მხარდაჭერას იღებს მას შემდეგ, რაც ექსტრემალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება ხუთი წლის მანძილზე, – აღნიშნა უფროსმა დეტექტივმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სუხიშვილებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭება




ანსამბლ „სუხიშვილებს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭება.

ინფორმაცია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა გაავრცელა:

– წოდება მხოლოდ რამდენიმე სფეროში გაიცემა და ქვეყნის მასშტაბით სულ 57 ელემენტს აქვს მინიჭებული. მალევე, შესაძლოა, ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“ იუნესკოს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში – ქვევრის, ქართული პოლიფონიის, ღვინის დაყენების უძველესი მეთოდისა და ქართული ანბანის სიას დაემატოს. ეროვნული კატეგორიის უმნიშვნელოვანესი სტატუსი ანსამბლს სპეციალურმა საბჭომ უნდა მიანიჭოს.

სუხიშვილებთან დაკავშირებით გავრცელებულ სიახლეს ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი გამოეხმაურა:

– ბრავო! გენი-ოსები.

ვერ გავიგე და ამიხსენით! ქართული ცეკვა ერთი ოჯახის საკუთრებაა თუ საქართველოს საგანძური? ალბათ შეცდომაა, რასაც ინტერნეტში ავრცელებენ: ანსამბლ სუხიშვილებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭებაო. გამოდის, რომ ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს მოუგონიათ ქართული ცეკვა? რატომ შეგყავთ ხალხი შეცდომაში და რატომ ადებილებთ?

არავის არ ვაკრიტიკებ! ქართველი ვარ და მიტყდება, რასაც ვხედავ! ნუ მიიღებთ ჩემს პოსტს შურით, ღვარძლით და ა.შ. შვილებს გეფიცებით, ეს არასწორი საქციელია და ძალიან დიდი შეურაცხყოფაა ყველა ქორეოგრაფისთვის... სანამ სუხიშვილები დაარსდებოდა, უკვე 3 ანსამბლი არსებობდა და ჯარი ქორეოგრაფების, მოცეკვავეების და ა.შ. ვინც მართლა ამოკრიბა მარგალიტებივით თითოეული ცეკვის ილეთი, ისტორია და საერთოდ ფოლკლორი.

რატომ მიკერძოებულად სუხიშვილებს და რატომ არა ქართულ ცეკვას, როგორც ძეგლს? ქართულ ცეკვაში შედის: სუხიშვილებიც, ერისიონიც, რუსთავიც, ფოცხიშვილებიც, კობეშავიძეებიც, პაპიაშვილებიც, სულაბერიძეებიც, მხეიძეებიც და ყველა თქვენგანის გვარი.

„ვეფხისტყაოსანი“ ერთი ოჯახის საკუთრებაა თუ საქართველოს ძეგლია? მალადეც, ძმაო! მე კიდევ ვფიქრობ, რომ ეს რაღაც ტყუილი ინფორმაციაა, გაზვიადებული. არ ვიცი, რა დავარქვა ამ ქმედებას, არ მინდა, დავიჯერო! ვენაცვალე ყველა ანსამბლს, ყველა მოცეკვავესა და ყველა ხელოვანს. ხმა ამოიღეთ, ხალხნო! პატრონი გვყავს საერთოდ?

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სარკოზის მემუარები აგვისტოს ომზე

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მიპასუხეს, რომ ისინი პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკელი მრჩევლები იყვნენ. მოვითხოვე, რომ მაშინვე დაეტოვებინათ ოთახი. მე მინდოდა, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასთან მესაუბრა, გარეშე მოწმის გარეშე, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა.

სანამ ექვსპუნქტიან გეგმაზე საუბარს დავიწყებდით, სააკაშვილმა დიდი ენთუზიაზმით მითხრა:

„ას ორმოცდაათი ათასი კაცია შეკრებილი სასახლის გარშემო. ისინი შენს სახელს სკანდირებენ. ტრიბუნა და მიკროფონები დაყენებულია. უნდა დაელაპარაკო მათ“.

თავისი სამუშაო ოთახის ორმაგი ფანჯარა გახსნა და მაშინვე შევამჩნიეთ საშინელი ხმაური.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაცდური შემოთავაზება იყო, მკაცრად უარი ვთქვი ამ მოწვევაზე, რადგან სიტყვა მივეცი პუტინს, ისე, როგორც მედვედევს, რომ თუ რუსეთის არმია უკან დაიხევდა, ერთ ფრაზასაც არ ვიტყოდი მათ წინააღმდეგ. მაგრამ ანთებულ და გაბრაზებულ ქართველი ხალხის მასას ჩემგან მხოლოდ რუსეთის დაუფარავი დაგმობის მოსმენა სურდა. რა თქმა უნდა, მესმოდა მათი, მაგრამ, თუკი ჩემი მომლაპარაკებლისა და შემთანხმებლის როლიდან გამოვიდოდი, უარს ვამბობდი მთლიან ეფექტურობაზე, რასაც აშკარა მიუკერძოებლობა აქამდე მანიჭებდა.

სასოწარკვეთილებაში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა საბოლოოდ ცადა შეტევაზე გადმოსვლა:

„თუ არ დაელაპარაკები მათ, ყველაფერს დალეწავენ“.

„დალეწონ, თუ უნდათ. მე სიტყვა მივეცი და ამას არ დავარღვევ. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რუსულმა ტანკებმა დატოვონ თქვენი ტერიტორია რაც შეიძლება სწრაფად“.

ვიცოდი, რომ ჩემი უმცირესი გამოსვლა, საჯარო იქნებოდა ეს თუ კერძო, მილიმეტრული სიზუსტით იქნებოდა მოსკოვის მიერ მიყურადებული. ერთი წამით არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემი დილანდელი სადილის მოსაუბრეებს ყველა ტექნიკური და ადამიანური საშუალება ექნებოდათ, ზუსტად გაეგოთ, რა ხდებოდა თბილისში.

მხოლოდ შუაღამის 12 საათზე გადავედით საუბრის არსზე. განვუმარტე, რომ ან ქართველები დათანხმდებოდნენ ჩემს გეგმას, ან ბრძოლები განახლდებოდა, თბილისი დაეცემოდა და დასრულდებოდა დამოუკიდებელი საქართველო. სააკაშვილმა უარი თქვა და ბოლომდე გაჭირვეულდა საერთაშორისო მოლაპარაკებების შექმნის საკითხზე, სადაც განხილული იქნებოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსი. ეს, მისი მხრივ, შეცდომა იყო, რადგან ეს იყო ირიბი გარანტია იმისთვის, რომ ამ ორი ტერიტორიის რუსეთის მიერ დე ფაქტო ოკუპაცია არ ყოფილიყო იურიდიულად აღიარებული.

ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები. დილის პირველ საათზე გადავწყვიტე, დამერეკა მედვედევისთვის, რათა დამერწმუნებინა, რომ უარი გვეთქვა საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ამ ორი რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთის არმიას შეეძლო, იქ დარჩენილიყო. მან მადლობით დაიწყო იმისთვის, რასაც და როგორც ვაკეთებდი. ჩანდა, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო. ქართული სისტემა უსაზღვროდ უფრო გამტარი იყო, ვიდრე ჩემს მასპინ-



ძლებს წარმოედგინათ.

ჩემდა გასაოცრად, ის დიდი საუბრის გარეშე დათანხმდა ჩემს თხოვნას და, ამასთან, დამიზუსტა, რომ ბრძანება გადასცა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას, მოემზადონ უკან დასახევად. ეს იყო საუკეთესო და მოულოდნელი ამბავი. ამგვარად, დილის ცეცხლის დროებითი შეწყვეტა მუდმივი ხდებოდა.

დილის სამ საათზე მქონდა პრესკონფერენცია საქართველოს პარლამენტის ბაღში. ატმოსფერო იყო უცნაური, არარეალური, ერთდროულად ეიფორიული და სტრესული.

❖ ❖ ❖

გავემგზავრე უკან კაპ ნეგრისკენ. კაბინაში შესვლისას ტიერიმ, მეტრდოტელმა, რომელიც ყველაფერს ხელმძღვანელობდა, მითხრა:

„ბედნიერები ვართ, რომ მივდივართ, ბატონო პრეზიდენტო. ნამდვილად არ მინდოდა, უკან დასაბრუნებელ კოლონას ჩამოვრჩენოდი“.

„შეგეშინდათ?“

„მერე როგორ“, – მითხრა მან.

გულიანად გავიცინეთ, რადგან მტყუანი არ იყო, თუ დაფიქრდებოდი...

ამასთანავე, საქმე ჯერ მთლიანად არ იყო დასრულებული. მე ჯერ ჩემი ევროპელი კოლეგები უნდა დამერწმუნებინა, რომ საუკეთესო შეთანხმებას მივაღწიეთ, შესაძლებლის ფარგლებში, თუმცა ეს არ იყო აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნების ნაწილის აზრი, რომლებსაც აუცილებლად უნდოდათ რუსებთან ბრძოლა და არ ეშინოდათ ცივი ომის დაბრუნების, რაც მე არაფრის ფასად არ მინდოდა.

პირველ სექტემბერს მოვიწვიე ევროპის საბჭოს საგანგებო სხდომა ბრიუსელში, ანგელა მერკელის დახმარებით დიდი ბრძოლით გავიტანეთ გადაწყვეტილება და შევძელით ევროპელი დამკვირვებლების განლაგება ქართველებსა და რუსებს შორის ფრონტის ბოლო ხაზზე. ამის შემდეგ, და მე ვიტყოდი, რაც მთავარია, უნდა მიმეღწია რუსეთის ჯარების სრული გაყვანისთვის.

იძულებული გავხდი, 8 სექტემბერს კვლავ ჩავსულიყავი მოსკოვში, რათა მედვედევისგან მომეთხოვა ზუსტი და შეთანხმებული კალენდარი. საგარეო საქმეთა მინისტრთან, ძალიან აგრესიულ ლავროვთან ძალადობრივი დავის შემდეგ გადაწყდა, რომ ევროპელი დამკვირვებლების ჩასვლიდან თხუთმეტი დღის შემდეგ რუსები გავიდოდნენ.

2008 წლის დასასრულს საქართველომ გადაარჩინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. რუსი სამხედროები აღარსად იყვნენ, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა, მაგრამ, შეგახსენებთ, რომ ისინი იქ უკვე კონფლიქტამდეც იმყოფებოდნენ.

ევროპამ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება და პირველიდან ბოლო დღემდე კრიზისის მართვის არქიტექტორობა. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ეს პრობლემა უნდა გადაჭრილიყო ევროპელების და არა – ამერიკელების მიერ. ეს ჩვენი გავლენის რეგიონია და არა – მათი. ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ გაართულებდა საქმეს და ქართულ კონფლიქტს რუსულ-ამერიკულ შეტაკებად გადააქცევდა. ისინი გვენდნენ, დაგვიჭირეს მხარი და მე ჯორჯ ბუშის მადლიერი ვიყავი ამისთვის.

დაბოლოს, და პარადოქსულად, ჩემი ურთიერთობა რუს მმართველებთან თვალშისაცემად კომფორტული, მეტიც, გაძლიერებული გამოვიდა. პუტინმა სიტყვა შეასრულა და მედვედევის როლიც ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალო ფიგურანტისა. ჩვენ შეგვეძლო და ვალდებულიც ვიყავით, ამიერიდან მათი ნდობა გვქონოდა.

ჩემი შთაბეჭდილება პრეზიდენტ სააკაშვილზე უფრო ნიუანსური იყო. ეს იყო ხარისხიანი კაცი, რომელსაც ჰქონდა ნამდვილი ხედვა. ამასთან, ის იყო ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი პოლიგლოტი, რომელიც ოდესმე მინახავს. მაგრამ ის ორმაგად მოტყუვდა.

პირველი, როცა წარმოიდგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაებმებოდა მის დასაცავად. რამდენიმე ამერიკელმა საპასუხისმგებლო პირმა უთხრა მას ეს. კარგად რომ დაფიქრებულიყო, მიხვდებოდა, რომ ეს მხოლოდ ზერელე სიტყვები იყო. და შემდეგ, მას ძალიან გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა თავის ძალებზე.

ორი შეცდომა ერთდროულად ბევრი აღმოჩნდა. ეს იყო ჩემი პირველი ქარიშხალი ევროპის კავშირის პრეზიდენტის რანგში. მე ბედნიერი ვიყავი ამ ახალი დიპლომატიური წარმატებით. მტკიცებულება არსებობდა, რომ როცა ევროპა მოინდომებდა, ის შეძლებდა კიდეც!

**მალამო მენტორი პირველი**

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

**მალამო მენტორი ხუთი**

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# დინამო ლიდერია, მერანი — მოუგებელი



**ტორპედო-თელავი 1:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 ბობკო (43), 1:1 რუხაძე (52)

**ტორპედო:** შოვნაძე, კასრაძე, ნადარაია, ქაფიანიძე (ადამაძე 74), გრიგალაშვილი, ბობკო, ჯანელიძე, მამასახლისი (მარკოვიჩი 68), ციცქიშვილი, პონომარი (ივანიშვილი 60), ფანცულაია

**თელავი:** სანიკიძე, ბერიაშვილი, თოლორდავა (ნ.ბაშელეიშვილი 46), დიმიტროვსკი, ჩუკვურა, ძოწენიძე, ჩაბრაძე, მოისწრაფიშვილი (სამუშია 79), მოსიაშვილი, რუხაძე, კვასოვი (კოხრეიძე 58)

პირველი წრის ბოლო ტური ქუთაისში გაიხსნა, სადაც დებიუტანტი თელავი პირველად სტუმრობდა. ამ მატჩამდე ტორპედოს საშინაო შეხვედრა არ ჰქონდა მოგებული, ხოლო თელავს — სტუმრად. ეს გრაფა ამ მატჩის შემდეგაც შეუვსებელი დარჩა.

ანგარიში ტორპედომ გახსნა — ივან ბობკომ კახელებს დაცვაში დაშვებული შეცდომა არ აპატია.

მე-2 ტაიმში თელავი უკეთ გამოიყურებოდა და მალევე ანგარიშიც გაათანაბრა. მეტიც — კახელებს მოგებაც შეეძლოთ: ბურთი 2-ჯერ მოხვდა ტორპედოს კარის ხარიხას, ერთხელაც ქუთაისელთა მეკარემ იხსნა საკუთარი გუნდი.

**მერანი-დინამო (თბ) 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 კობოური (45), 0:2 ბენიო (70), 1:2 გეწაძე (90პ)

**მერანი:** თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ნუსუევი (ხაბულიანი 75), ფოფხაძე, კახელიშვილი, ვასაძე, გეწაძე, კაკაშვილი, დათუნაიშვილი, სარდალიშვილი (გაბისკირია 81), გოგოლაშვილი (შენგელიძე 75)

**დინამო:** კვასხვაძე, კობოური, ლოჩოშვილი, ბენიო, იაშვილი, კუხიანიძე, პაპავა (ნინუა 79), კუცია, ქავთარაძე, პერნამბუკო (ბულირიძე 70), კაპანაძე (გაბედავა 61)

თბილისის მერანმა თბილისის დინამოს უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კახაბერ ჩხეტიანის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა.

სტუმრები პირველი ტაიმის მიწურულს დავით კობოურის მიერ გატანილი გოლით დაწინაურდნენ. უპირატესობა ორამდე საიმონ ბენიომ გაზარდა. თამაშის ბოლო წუთებში ინტრიგა მას შემდეგ დაბრუნდა, რაც დინამოს კარის მიმართულებით პენალტი დაინიშნა, რომელიც ზუსტად რევაზ გეწაძემ შეასრულა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

თუმცა ქულის გადასარჩენად დარჩენილი დრო საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯერჯერობით მერანი ეროვნულ ლიგაში რჩება ერთადერთ გუნდად, რომელსაც თამაში მოგებული არ აქვს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 9 | 5 | 3 | 1 | 16:4 | 18 |
| 2.დილა | 8 | 4 | 4 | 0 | 14:5 | 16 |
| 3.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 5 | 0 | 12:5 | 14 |
| 4.საბურთალო | 8 | 3 | 4 | 1 | 9:6 | 13 |
| 5.თელავი | 9 | 2 | 6 | 1 | 9:6 | 12 |
| 6.ლოკომოტივი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | 9 |
| 7.ტორპედო | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | 9 |
| 8.სამტრედია | 8 | 2 | 2 | 4 | 6:14 | 8 |
| 9.ჩიხურა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | 5 |
| 10.მერანი | 9 | 0 | 4 | 5 | 3:14 | 4 |

# დინამოს მეტოქე ტირანა იქნება

შვეიცარიის ქალაქ ნიონში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა.

ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე საქართველოს სახელს ჩემპიონი თბილისის დინამო დაიცავს, რომელსაც წილისყრამ მეტოქედ ალბანური ტირანა არგუნა. მასპინძელი დინამო იქნება.

თავიდან ცნობილი იყო, რომ განთესილი დინამოს მეტოქე 4 გუნდიდან შეირჩეოდა — ბრესტის დინამო, რიგა, ტირანა და სილექსი.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება მატჩი — 18 თუ 19 აგვისტოს.

# იუვენტუსს პირლო გაწვრთნის

მაურიციო სარის წასვლის შემდეგ ტურინის იუვენტუსის მთავარი მწვრთნელის კანდიდატურაზე ყველაზე აქტიურად მაურისიო პოჩეტინო, სიმონე ინძაგი და ზინედინ ზიდანი განიხილებოდნენ. ასევე აქტიურად დაირხა ხმები მაქს ალეგრისთან დაკავშირებით. მხოლოდ აქა-იქ თუ წავიკითხავდით ანდრეა პირლოზე, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ იუვეს 23 წლამდე გუნდის თავკაცად დაინიშნა და...

იუვემ რისკიანი ნაბიჯი გადადგა — 41 წლის პირლო, რომელმაც ახლახან აიღო საჭირო ლიცენზია, „ბებერი ქალბატონის“ მთავარი მწვრთნელია.



კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულამდეა გათვალისწინებული.

პირლო იუვეს რიგებში 2011-15 წლებში თამაშობდა და თავისი მაისურით 164 მატჩი ჩაატარა, 19 გოლი გაიტანა და 38 საგოლე პასიც გააკეთა. ტურინელებთან ერთად იტალიური ფეხბურთის ლეგენდამ 6 ტიტული მოიგო.

აღსანიშნავია, რომ პირლოს გუნდში დახვდება ყოფილი თანაგუნდელი და თანანაკრებელი, მასზე ერთი წლით უფროსი ჯიჯი ბუფონი, რომელიც მხიარულად შეხვდა მეგობარს.

— ახლა მისტერით უნდა მოგმართო?! — დაწერა ჯიჯიმ „ტვიტერზე“ და ანდრეას წარმატებები უსურვა.

სამაგიეროდ, პირლოს მისვლა არ ესიამოვნებოდათ გონსალო იგუაინს, სამი ხედირასა და დუგლას კოსტას -პირლომ უკვე განაცხადა, რომ ისინი გუნდში არ სჭირდება. ანდრეამ იქვე დასვა საკითხი, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ნახევარმცველი და ცენტრალური თავდამსხმელი მოიძიოს.

# ლიგის მეოთხედფინალისტები ცნობილია

**სიტი-რეალი 2:1**

**(პირველი მატჩი 2:1)**

1:0 სტერლინგი (9), 1:1 ბენზემა (28), 2:1 ჟეზუსი (68)

მადრიდის რეალი ესპანეთის ჩემპიონობას დასჯერდა, ხოლო ზინედინ ზიდანი ჩემპიონთა ლიგაზე თავისი მე-4 ტრიუმფისთვის მომდევნო სეზონში იბრძოლებს. მანჩესტერ სიტი „სამეფო გუნდისთვის“ გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა.

რეალს განსაკუთრებით გაუჭირდა „ქალაქელთა“ მაღალი პრესინგის წინააღმდეგ თამაში, ხოლო რაფაელ ვარნმა ისეთი ბავშვური შეცდომები დაუშვა, რომ გუნდი წასაგებად გაწირა. 2 საჩუქარი გაუკეთა ფრანგმა ფეხბურთელმა მეტოქეს, რაც წასაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ სიტი ამ საჩუქრების გარეშეც უიმედოდ იყო — პეპ გვარდიოლას გუნდი უფრო უკეთესად გამოიყურებოდა და მოედნის ყველა მონაკვეთზე სჯობდა. შედეგად, გვარდიოლას გუნდმა მეოთხედფინალში შეაბიჯა...

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — გაბრიელ ჟეზუსი**

გაბიმ ამ მატჩში ბოლომდე იბრძოლა და სწორედ მისი დამსახურებით დაუშვა ორივე შეცდომა ვარანმა. ჟეზუსმა პირველ გოლზე ფრანგს ბურთი აართვა და რაჰიმ სტერლინგს გაატანინა, ხოლო მეორე შემთხვევაში უკვე თავად იხეირა. გაბი არა მარტო ამ მატჩის, არამედ სერიის გმირიც არის.

**იუვენტუსი-ლიონი 2:1**

**(პირველი მატჩი 0:1)**

0:1 დეპაი (12პ), 1:1, 2:1 რონალდო (43პ, 60)



საკუთარი ქვეყნის ჩემპიონობას დასჯერდება ტურინის იუვენტუსიც. მართალია, მაურიციო სარის გუნდმა საშინაო მატჩი მოიგო, მაგრამ ეს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ლიონი უფრო ძლიერი სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გამოდგა. ამ მატჩის შემდეგ არც სარის მომავალი პერსპექტივა გამოჩნდა — კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვა.

ცალკე თემაა ვარ-ი, რომელმაც ვერც ერთი პენალტი ვერ დაარტყა, უფრო სწორად, მსაჯის მიერ აბსურდულ პენალტების დასტური მისცა. სწორედ აბსურდული პენალტით დაწინაურდა ლიონი, რომელსაც მეტჯერ კარში არც დაურტყამს. არადა, რომ არა ის საბედისწერო 11-მეტრიანი, იქნებ მეოთხედფინალში იუვე გასულიყო.

ბევრი იწვალა კრიშტიანუ რონალდუმ, რომ შემდეგ ეტაპზე სამშობლოში ჩასულიყო, 2 გოლიც გაიტანა, მაგრამ...

ლიონი მეოთხედფინალშია და სიტის შეხვდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — კრიშტიანუ რონალდუ**

როდესაც იუვემ საფრთხე იგრძნო, ავანსცენაზე პორტუგალიელი გამოჩნდა და გუნდის თამაში მთლიანად ხელში აიღო. გოლებზე უკვე გითხარით, ისედაც ბევრი იმუშავა, მაგრამ მთლიანად გუნდისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა.

**ბარსელონა-ნაპოლი 3:1**

**(პირველი მატჩი 1:1)**

1:0 ლანგლე (10), 2:0 მესი (23), 3:0 სუარესი (45პ), 3:1 ინსინიე (45პ)

ბარსელონამ მატჩის დასაწყისშივე გადაწყვიტა მეოთხედფინალში გამსვლელი გუნდის ვინაობა. კატალონიელები 23-ე წუთისთვის 2 ბურთით იგებდნენ. ჯერ კლემენ ლენგლემ გაიტანა, შემდეგ ლეო მესიმ პატარა შედევრი შექმნა.

ტაიმის დასრულებამდე მესიმ პენალტიც გამოიმუშავა, რომელიც გოლად ლუის სუარესმა აქცია. მართალია, ნეაპოლელებმა ერთი გოლი პირველივე ტაიმში გაქვითეს — ლორენცო ინსინიემ პენალტი გაიტანა და თითქოს მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ მეორე ტაიმში არაფერი შეცვლილა.

ბარსელონა მეოთხედფინალში ითამაშებს, სადაც მიუნხენის ბაიერნს შეხვდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — ლეო მესი**

არგენტინელმა მაგარი გოლი შეაგდო და გუნდს პენალტიც მოუპოვა. მესიმ კიდევ ერთხელ გაიტანა, მაგრამ ხელით თამაში დაუფიქსირეს. თუმცა, ამ მომენტების გარდა, ლეო მუდმივად ყურადღების ქვეშ იყო და ნაპოლის დაცვა ტერორში ჰყავდა.

**ბაიერნი-ჩელსი 4:1**

**(პირველი მატჩი 3:0)**

1:0 ლევანდოვსკი (10პ), 2:0 პერიშიჩი (24), 2:1 აბრაჰამი (44), 3:1 ტოლისო (76), 4:1 ლევანდოვსკი (84)

„ალიანც არენაზე“ სასწაული არ მოხდა — მიუნხენის ბაიერნმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში ჩელსის 4:1 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. „რეკორდმაისტერმა“ ლონდონელები 2 მატჩის ჯამში 7:1 გაანადგურა.

რობერტ ლევანდოვსკიმ დუბლი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში გატანილი გოლების რაოდენობა 13-მდე გაზარდა. მიუნხენელთა მხრიდან თითო გოლი ტოლისომ და პერიშიჩმა გაიტანეს, ლამპარდის გუნდის ერთადერთი გოლი აბრაჰამის ანგარიშზეა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — რობერტ ლევანდოვსკი**

არა აქვს მნიშვნელობა, კარანტინით გამოწვეული პაუზაა თუ სეზონი დამთავრდა — ლევანდოვსკი მუდმივად ფორმაშია. პოლონელმა 2 გოლი ხომ გაიტანა, ერთხელაც თანაგუნდელს გაატანინა. წელს ლიგის საუკეთესო ბომბარდირობას ვერავინ შეეცილება, ალბათ „ოქროს ბურთსაც“, რომ არ გაუქმებულიყო.

# ბითაძემ ლებრონს დაუფარა

ნბა-ს განახლებულ რეგულარულ სეზონში გოგა ბითაძე მეორედ გამოჩნდა მოედანზე და ჩვენებურმაც ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი მიითვალა — ქართული კალათბურთის იმედმა თვით ლებრონ ჯეიმსს დაუფარა.

ინდიანამ 116:111 რომ დაამარცხა ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი ლეიკერსი, ამაში წილი ქართველმა ცენტრმაც დაიდო, რომელმაც, ხსენებული დაფარების გარდა, 12 წუთში 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრაც მიაყოლა. გოგამ 2-ვე 2-ქულიანი ჩააგდო, ასევე 2-ჯერ ისროლა სამიანი და მიზანს ერთხელ უწია.



აღსანიშნავია, რომ ინდიანელთა ძირითადმა ცენტრმა მაილს ტერნერმა 25 წუთში 7 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 0 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა, 5 პერსონალური მიიღო და მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 0 იყო.

ინდიანელთაგან საუკეთესო შედეგი ტიჯეი უორენმა დააფიქსირა — 39 ქულა. 24 ქულა ჰქონდა მალკოლმ ბროგდონს, ხოლო 22 — ვიქტორ ოლადიპოს. ლოსანჯელესელთაგან 31 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი ჯეიმსმა მიითვალა. ენტონი დევისი მხოლოდ 8 ქულას დასჯერდა.

43 მოგებითა და 27 მოგებით ინდიანა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზეა და ფლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვს. მომდევნო მატჩს „ინდიანა“ „მაიამისთან“ 11 აგვისტოს გამართავს.

**მატჩის შემდეგ ბითაძემ კომენტარი გააკეთა:**

— ეს არა მოულოდნელი, არამედ დამსახურებული და დიდი გამარჯვება იყო, რადგან ჩვენ საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს და ასეთი მოგებები საჭიროა, რათა ფლეი ოფში უფრო თავდაჯერებულები ვიყოთ. ჩვენ გვაკლია რამდენიმე კალათბურთელი. განსაკუთრებით დომანტას საბონისი, რომელიც ჩვენი გუნდისთვის მართლაც დიდი დანაკლისია. ამიტომაც ჩვენ მეტი მონდომება და ერთად დგომა გვმართებს, რათა გამარჯვებებს მივაღწიოთ. ალბათ ხედავთ, რომ მთელი გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული როგორც სათადარიგოთა სკამზე, ისე მოედანზე. ჩვენ მჭიდროდ ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული და ამიტომაც ვიგებთ თამაშებს. რაც შეეხება ჩემს ჯანმრთელობას, ტრავმის შემდეგ სრულ მზადყოფნაში ვარ. ამ ეტაპზე ჩემი სხეული მწყობრშია და როცა გუნდს დასჭირდება, შემიძლია, სრული დატვირთვით ვითამაშო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 18. თირკმლების ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. გერმანული ავტომობილი; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში.

**თარაზულად:** 7. ავსტრალიის აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმეისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. ქება-დიდება; 17. მუსიკის, ხმის, სიმღერის ჩანაწერი ფირფიტაზე, ფირზე, დისკზე; 19. იტალიური ავტომობილი; 21. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 22. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბატერფლაი; 2. არჩვაძე; 3. ლინატე; 4. მანგო; 5. ფლირტი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტროტილი; 21. სიდრი; 22. ფეტვი.

**თარაზულად:** 6. პამპერსი; 7. სტაპელი; 8. გაგრა; 9. ორბიტა; 10. ტანგო; 13. ბანჯო; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყუმი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დორსე; 2. წყალი; 3. ჰოოპუნა; 4. მახა; 5. იაგო; 6. ამსტელი; 9. მარკშეიდერი; 10. ქიმერიონი; 11. ლივერპული; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. მაესტრო; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. გორდი; 25. ბლუზი; 20. თუნი.

**თარაზულად:** 7. ცოლიკაური; 8. ფანატიზმი; 12. გურია; 13. პირეი; 15. ნოკია; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. ლეონი; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0758

ევრო — 3.6356

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0262

100 რუსული რუბლი — 4.1811

## ამინდის პროგნოზი 10 აგვისტოსათვის




## დაოჯახებული პოლიციის სერჟანტი ხელქვეითთან სექსში ამხილეს



უელსში, დიდი ბრიტანეთი, პოლიციის თანამშრომლები სამსახურში ინტიმური ურთიერთობის დამყარებაში ამხილეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის 28 წლის თანამშრომელ ჯემა დიქსს და მის ხელმძღვანელ პოლიციის სერჟანტს, 40 წლის ადამ რიდს არაერთხელ ჰქონდათ სექსი პოლიციის განყოფილებაში 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის აგვისტოს ჩათვლით.

რიდს სქესობრივი კავშირი სხვა თანამშრომელ ქალთანაც ჰქონდა, თუმცა მისი ვინაობა არ სახელდება. გარდა ამისა, ცოლიანი სერჟანტი ფარულად უღებდა ფოტოსურათებს კიდევ ერთ ქალ-პოლიციელს. ამ ყოველივეს შედეგად სერჟანტმა თანამდებობა დატოვა.

უახლოეს დროში ჯემა დიქსს და ადამ რიდს უელსის უზენაესი ხელმძღვანელობის წინაშე საქმის დისციპლინარულ მოსმენაზე მოუწევთ წარდგომა. თუ რა სახის სასჯელი შეიძლება დაეკისროთ, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

## ცოლმა ქმარს საყვარელთან შეუსწრო და ფიზიკურად გაუსწორდა



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრები თვითმფრინავის ბორტგამცილებელი ქალი თავის მეუღლეს ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდა როდესაც მას საყვარელთან შეუსწრო.

პოლიციის ანგარიშის თანახმად, 29 წლის ნიკოლ დენისონმა მას შემდეგ, როდესაც მეუღლის ღალატში დარწმუნდა, თავის 34 წლის ქმარს მარცხენა თვალში მუშტი ჩასცხო და ასევე სახესა და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. ამის შემდეგ მოტყუებულმა ცოლმა ქმრის აკუსტიკურ გიტარას სტაცა ხელი და კედელზე მიამსხვრია. ქალი პოლიციამ დააპატიმრა, თუმცა მეორე დღეს გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა. სასამართლოს მისთვის მეუღლესთან ურთიერთობა არ აუკრძალავს. წყვილი სამი წელია დაქორწინებულია და ორი ბავშვი ჰყავთ.

## სერიულმა მკვლელმა ნიანგებს 50 ადამიანი შეაჭამა



ინდოეთში დაიჭირეს სერიული მკვლელი, რომელიც თავისი მსხვერპლებით ნიანგებს კვებავდა.

1995 წელს დევენდრა შარმა თაღლითების მსხვერპლი გახდა და გაკოტრდა. მას შემდეგ ის ფულს დანაშაულებით შოულობდა. თავდაპირველად ყალბი გაზის ბალონებით ვაჭრობდა, შემდეგ ორგანოების შავ ბაზარზე მუშაობდა და მისივე აღიარებით, თირკმლის გადანერგვის 125-ზე მეტი არალეგალური ოპერაცია განახორციელა.

უტარ-პრადეშის შტატში შარმა და მისი თანამზრახველები ძარცვა-გლეჯით იყვნენ დაკავებულები. ის იძახებდა ტაქსის, განმარტოებულ ადგილზე მიყვანას ითხოვდა და შემდეგ მძღოლს კლავდა. კვალის წასაშლელად, ის მოკლულის ცხედარს ნიანგებით სავსე წყალსატევში აგდებდა, ხოლო მანქანას ყიდდა. მოგვიანებით შარმამ აღიარა, რომ მას 50-მდე ტაქსის მძღოლის დაღუპვაში მიუძღვის ბრალი. ყოველ მოკლულს მისთვის 270 დოლარის შემოსავალი მოჰქონდა.

შარმა 2004 წელს დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა 2020 წლის იანვარში ის დროებით გაათავისუფლეს. ის ციხეში 20 დღეში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მიიმალა. გაქცეულ პატიმარს ექვსი თვის შემდეგ მიაგნეს. 62 წლის შარმა დელიში გადასახლდა, ქვრივ ქალზე დაქორწინდა და ციხეში დაბრუნებას აღარ აპირებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– მინდა, თქვენს ქალიშვილზე ვიქორწინო.

– ეგ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემთხვევაში მოხდება!

– საინტერესო აზრია, თუმცა, სამწუხაროდ, ორ სადღესასწაულო სუფრას ვერ გავწვდები.

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემ ქმარს სერიოზული ფსიქიკური აშლილობა აქვს.

– ეგ რაში გამოიხატება:

– რაში და ზოგჯერ საათობით ვუყვები რაიმეს, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ჩემი ნათქვამი ერთი სიტყვაც კი არ მოუსმენია.

– ეგ დაავადება კი არა, ღვთის წყალობაა, ქალბატონო, ღვთის წყალობა!

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ალო, ძვირფასო, შეგიძლია დამელაპარაკო?

– კი, შემიძლია.

– მაშინ მომისმინე...

•••

თვითმფრინავის აფრენის შემდეგ გაირკვა, რომ ასი მგზავრისთვის განკუთვნილი სადილის მაგივრად, მხოლოდ 40 ჰქონდათ და ბორტგამცილებელი გოგონა აცხადებს:

– ყოველ იმ მგზავრის რომელიც სხვა მგზავრის სასარგებლოდ უარს იტყვის საკუთარი კერძის ულუფაზე, მთელი ფრენის მანძილზე უფასო სასმელით გავუმასპინძლდებით.

ერთი საათის შემდეგ ბორტგამცილებელი ისევ აცხადებს:

– თუ რომელიმე მგზავრი გადაიფიქრებს, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენ კიდევ ოცდათვრამეტი ულუფა კერძი დაგვრჩა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნათია თოდუა: „14 დღე უნდა გავატარო სასტუმროს ერთ ოთახში“



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ქართველი მომღერალი ნათია თოდუა მონატრებულ სამშობლოში ჩამოფრინდა, თუმცა ორი კვირის გატარება სასტუმროს ერთ ნომერში მოუწევს:

– ჩამოვფრინდი გერმანიიდან ჩემს სამშობლოში, იმიტომ რომ საქართველოს მოქალაქე ვარ, 14 დღე უნდა გავატარო სასტუმროს ერთ ოთახში, რომელსაც აივანიც კი არ აქვს.

## მიშიკო რამიშვილი მატყუარებს ამხელს



მომღერალ ოთარ რამიშვილის შვილი მიშიკო რამიშვილი მატყუარებს ამხელს და თავის დედასთან, ქალბატონ გულნაზისთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება:

– მატყუარებო და ცრუპენტელებო!

დედამ შემოგითვალათ, რომ არანაირ სოციალურად დაუცველთა სიაში არ ყოფილა და არც არის, მხოლოდ პანდემიის დროს ორჯერ დაურეკეს და მოვიდნენ. ერთხელ იყვნენ, როგორც უთხრეს, წითელი ჯვრიდან, ხოლო მეორედ ქ.თბილისის მერიიდან და მოიტანეს მცირე ნობათი. გარდა ამისა, ქალბატონი გულნაზი ისეთ ბინაში ცხოვრობს, რომ ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც საჭიროა სოციალურად დაუცველთათვის. ის მხოლოდ პერიოდულობით გამგეობას მიმართავს წერილობით მედიკამენტებისთვის, რომელიც მას კანონის თანახმად ეკუთვნის.

## გიორგი სუხიტაშვილმა მაცაცო სებისკვერაძის ახალი სიმღერა ჩაწერა



„თქვენი თვალების ზეცა“ – ასე ეწოდება კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის ახალ სიმღერას, რომელიც გიორგი სუხიტაშვილმა ჩაწერა:

– რატი ამაღლობელის ლექსზე დაწერილი ეს სიმღერა, რომელსაც გიორგი სუხიტაშვილი ასრულებს, ჩემთვის განსაკუთრებულია, იმიტომ რომ ერთდროულად იტევს სიყვარულს, ტკივილს, იმედსა და თანადგომას. რაც ყველაზე მთავარია, ის ჩვენ გვახსენებს, რომ სამშობლოს სიყვარული გმირების დაფასებაა! მადლობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და პირადად ეკა გიგაურს პროექტის მხარდაჭერისთვის, – განაცხადა კომპოზიტორმა.

სიმღერა ინტერნეტში უკვე გავრცელდა და უამრავი მოწონება დაიმსახურა.

## გოგა ჩანადირი: „ოკუპაციისგან გათავისუფლება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ“



ასე მიაჩნია ფოტოხელოვან გოგა ჩანადირს და საკუთარ მოსაზრებას არგუმენტირებული პასუხითაც განმარტავს:

– ძალიან მაკვირვებენ ის ადამიანები, რომლებიც გაიძახიან, რუსეთი ოკუპანტიაო და პირზე პრივეტ და პაკა, პროსტა და ვაბშე, ზაგარი და ბასეინი, პერევალი და ტუნელი, ბახილები და ტუფლები, ხარაშო და სპასიბა, მაროჟნი და სემიჩკა, გიფსი და კარდონი, კარობკა და გლუშიტელი, პრობკა და სვეტაფორი და სხვა მისთანები აკერიათ.

ოკუპაციისგან გათავისუფლება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, თორემ რუსეთისგან სულ დაპყრობილები ვიქნებით.

## პირველმა არხმა ანზორ ერქომაიშვილის ჩანაწერების გაციფრულება დაიწყო



გამოჩენილი მომღერლის, ლოტბარის, ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებლის, ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის საიუბილეო თარიღისთვის საქართველოს პირველი არხი იმ მასალას გააციფრულებს, რომელიც საქართველოს პირველი არხის ოქროს ფონდშია დაცული.

გოგა ჩართოლანი, საქართველოს პირველი არხის არქივის ხელმძღვანელი:

– საქართველოს პირველმა არხმა დაიწყო ანზორ ერქომაიშვილის იმ ჩანაწერების გაციფრულება, რომლებიც საქართველოს რადიოს ოქროს ფონდსა და ვიდეოარქივშია დაცული და ნამდვილად ღირებულია არა მარტო ჩვენი მაუწყებლისთვის, არამედ ზოგადად ქართული კულტურისთვის.

ანზორ ერქომაიშვილი მრავალი წელი მუშაობდა პირველ არხზე და დატოვა უნიკალური მასალა იმ გადაცემების, ინტერვიუების, შემოქმედებითი საღამოების სახით, რომლებიც, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩენილია ჩვენს ფონდებში. ეს გადაცემები არის ძალიან ძველ მატარებლებზე ჩაწერილი. ერთი მათგანი ძველ, ე.წ. დიდ ვიდეოზეც კი არის ჩაწერილი და საჭიროებს რესტავრაციასა და აღდგენას. ეს პროცესი უკვე დაიწყო საქართველოს პირველ არხზე. ვფიქრობ, მალე გვექნება ანზორ ერქომაიშვილის შემოქმედების სრული ვიდეო და აუდიო ციფრული ვერსიები. პარალელურად, მასალები მთელი წლის განმავლობაში აიტვირთება ჩვენს ვებგვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისი ნახვის საშუალება ექნება. ჩვენს აუდიოფონდში ასევე დაცულია ხალხური სიმღერების უნიკალური ხმოვანი ჩანაწერები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ფირმა „მელოდიამ“ ჩაიწერა. „მელოდიის“ დახურვის შემდეგ ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა ეს უზარმაზარი მასალა გადმოსცა პირველ არხს. მისი ღვაწლი სრულიად შეუფასებელია ჩვენი მაუწყებლისთვის და მზად ვართ, რომ პირველ რიგში, სწორედ ეს დანატოვარი გავაციფრულოთ და ხელმისაწვდომი გავხადოთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 10 აგვისტოსათვის



**ვერძი** – დაძაბული დღეა. კოლეგებთან კონფლიქტი დიდ ენერგიას წაგართმევთ. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **კურო** – ყოველგვარი უსიამოვნების სათავე თქვენი ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებაა. ეცადეთ, იყოთ ტაქტიანი და მომთმენი. **ტყუპები** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი, მეორისაგან განსხვავებით, წარუმატებელია. ნებისმიერი მოულოდნელობისათვის მზად იყავით. **ლომი** – კონფლიქტი და გაუგებრობა დიდ დროს დაგახარჯვინებთ, თუმცა სიტუაცია მაინც თქვენ სასარგებლოდ შეტრიალდება. **ქალწული** – ყურადღებით აკონტროლეთ ფინანსები. გასავალი შემოსავალს არ უნდა აღემატებოდეს. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. დღის მეორე ნახევარში ახლობლების მხარდაჭერას იგრძნობთ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. ფორტუნა გიღიმით, მაგრამ გახსოვდეთ – უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. **მშვილდოსანი** – მოუგვარებელი პრობლემები თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და მყისიერ რეაგირებას მოითხოვს. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – საყიდლებზე ნუ წახვალთ. ნავაჭრი იღბლიანი არ იქნება. შრომის ნაყოფიერება მაღალია. **მერწყული** – წვრილმანი პრობლემები დაგღლით. მოგიწევთ ახლობლებზე ზრუნვა. **თევზები** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარ თავზე კონტროლს ნუ დაკარგავთ. ნებისმიერი საქმე თქვენგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავალ-გასავლის ჯამებს შორის; 5. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 11. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 12. ნოტიო თიხნარი ნიადაგი; 14. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებით შესუსტება; 21. ცხენის ერთგვარი სვლა; 22. ორელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა.

**თარაზულად:** 6. იუმორისტული მოთხრობა; 7. საბჭოთა ბელადი; 8. პორტატული მფრინავი აპარატი; 9. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 10. ისტორიული ქალაქი სირიაში; 13. წლოვანება; 15. მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი, მომღერალი უკრაინაში; 20. ბრიტანული არაყი; 21. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. ურთიერთდათმობით მიღებული შეთანხმება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

